საკოოპერაციო ბიბლიოთეკა № 17

ლუჩიანო ბარბიერი

# ოქროს წყარო

პანტეკორვოს სახალხო ბანკის მიერ
დაჯილდოებული და იტალიის სახალ-
ხო შკოლებში შემოღებული წიგნი.

ნაწილი I

## წინდახედულობა

თარგმანი და წინასიტყვაობა
იასონ გაბილაიასი

გამოცემა ჟურნალ „კოოპერაციის" რედაქციისა.

ქ უ თ ა ი ს ი.
ქართველთა შორის წ.-კ. გამავრც. საზოგადოების სტამბა.
1918.

37/09

თქვენ, ჰეი, შიშვლად შობილნო, ტანთ ჩაიცვით! სუსტად დაბადებულნო, მოღონიერდით! პაწიათ გაჩენილნო, გაიზარდეთ, დავაჟკაცდით: ქვეყანა დიდებსა და მძლავრებს ეკუთვნის!

**მანტეგაცა.**



# მთარგმნელისაგან.

ბარბიერი — იტალიის ცნობილი კოოპერატორია და, როგორც ასეთი, იგი უცხო ენაზე მოლაპარაკე ჩვენი ამხანაგია. მისმა უმთავრესმა თხზულებამ — სახელმძღვანელომ „ოქროს წყარომ“ — აღაფრთოვანა არა მარტო საკოოპერაციო და საპედაგოგო, არამედ საზოგადო ხასიათის ჟურნალ-გაზეთებიც.

აი ასეთი წიგნის მიწოდება განიზრახა ჟურნალ „კოოპერაციის“ რედაქციამ ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

ჩვენდა სამხიარულოდ, საკოოპერაციო მოძრაობა ფეხს იკიდებს ჩვენშიც. ეს მოძრაობა ისეთის ნაბიჯით ეფინება ჩვენს ქვეყანას, რომ დროა უკვე ამ საგანს სერიოზული ყურადღება მიაქციოს სკოლამაც.

თუ რა მხრივ შეუძლია სკოლას ამ მოძრაობისთვის ხელის შეწყობა, ამას მკითხველი თვით ამ წიგნიდან დაინახავს.

უკეთესი არ ყოფილა პირობები იტალიაში მაშინ, როცა იქ ამ წიგნის ორიგინალი გამოიცა, და, თუ ავუღებთ ალღოს აღნიშნული მოძრაობის მიერ წამოყენებულ პირობებს, დღეს ჩვენში ამ საქმის განხორციელება შესაძლოა ჩინებულად.

მასწავლებელთა კავშირებმა უნდა იდვას თავზე ჩვენს სკოლებში წინდახედულობისა და კოოპერაციის სწავლების შემოღება. ამ მხრივ დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კავშირის პირველმა ყრილობამ კიდეც გადადგა პირველი ნაბიჯი: ამის დამწერს აღნიშნულმა ყრილობამ მიანდო შემდეგი ყრილობისათვის სკოლასა და კოოპერაციას შორის სასურველი ურთიერთობის შესახებ მოხსენების წარმოდგენა.

ეს მოხსენება დამზადებულია და წარედგინება უმახლობელეს ყრილობას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ წინასწარ ამ წიგნის გამოცემა გააადვილებს ყრილობის მიერ მოხსენების იმ მთავარ დებულებათა მიღებას, რომელიც თავის დროზე გამოქვეყნებული იქნება ადგილობრივ გაზეთებში.

იტალიაში წინდახედულობისა და კოოპერაციის პრინცი-

პების სწავლება შემოღებულ იქნა კოროლის დეკრეტით. ფრიად სასიამოვნო იქნება, რომ ჩვენში საამისო დეკრეტს გამოსცემდეს ახლად დაარსებული ეროვნული საბჭო, ანდა ამიერ კავკასიის კომისარიატი.

მაგრამ სანამ ასეთი დეკრეტი ან კანონი გამოიცემოდეს, ფრიადვე სასურველია, რომ პედაგოგიური საბჭოები ურჩევდენ მოწაფეებსა და მათ მშობლებს ამ წიგნის წაკითხვას. მთლად კარგი იქნება, რომ მასწავლებლები მოახერხებდენ ამა თუ იმ სახითა და ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით მოწაფეთათვის ამ წიგნში აღძრული საკითხების სწავლებას.

ორსავე შემთხვევაში უეჭველად დაიბადება პრაქტიკული ხასიათის საკითხები: ვთხოვთ ყველას დაურიდებლათ მოგვმართონ საჭირო რჩევა-დარიგების მისაღებათ.*)

**იასონ გაბილაია.**

ქუთაისი, 1918 წ. 7 იანვარი.

---

*) **პირადათ:** ჟურნალ „კოოპერაციის“ რედაქციაში, თფილისის ქ., ვლად. წერეთლის სახლი. **ფოსტით:** ქუთაისში. ჟურნალ „კოოპერაციის“ რედაქტორს იასონ გაბილაიას.

## წინასიტყვაობა

ავტორისა იტალიური გამოცემისთვის.

წინდახედულობისა და კოოპერაციის პრინციპების[1] გავრცელების მიზნით ამ წიგნის შედგენა-გამოცემის ინიციატივა ეკუთვნის პანტეკორვოს სახალხო ბანკს.

ჩვენი ახალგაზრდობა თითქმის სულ არ იცნობს ეკონომიის სფეროში მეცნიერულად გამოკვლეულსა და ცხოვრებაში ხალხის თაოსნობით გატარებულ პრინციპებს: ჩვენი ბავშები ცხოვრებას იწყებენ კოოპერაციაში ჩამარხულ ძალებთან გაუცნობლად.

საჭიროა საპროპაგანდო და სახელმძღვანელო ლიტერატურა.

მაგრამ სახალხო სკოლებში საკითხავი წიგნების შედგენას თან ახლავს მრავალი დაბრკოლება.

მეტად ძნელია, მაგ., მასალების განაწილება იმის გამო, რომ ჩვენი შკოლების პროგრამებში არა აქვს ადგილი ხსენებულ საგანს.[2]

ძნელია აგრეთვე რამოდენიმე გვერდზე ასეთი რთული საკითხის შესახებ კამათის მომწყვდევა.

არ უნდა ვიფიქროთ, ამიტომ, რომ პირველივე ცდით მიზანს მივაღწევთ; საკმაო იქნება ისიც, თუ შევძელით გზის გაკაფვა იმათთვის, ვინც მოისურვებს ამ ნიადაგზე მუშაობას.

---

[1]) Principii della previdenza e della cooperazione.

[2]) იტალიის კოროლის დეკრეტით 1905 წლის 29 იანვარს დამტკიცებულ სახალხო შკოლების პროგრამაში ჩვენს საგანს ეთმობა ადგილი მხოლოდ მეექვსე კლასში: „ცნობები მუშათა კანონდებულობისა, საურთიერთო დაწესებულებათა (nutualita) და წინდახედულობის (previdenza) შესახებ.

ინსტრუქციის 34-ე გვერდზე აი რას ვკითხულობთ:

„შემონახვისა და წინდახედულობის პრინციპების ცოდნას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, რადგან ბავში თავიდანვე ეჩვევა მომჭირნეობას და გონივრული ანგარიშით ცხოვრებას.

„თვალსაჩინო რომ გახდეს ასოციაციების მნიშვნელობა, მომჭირნეობისა და წინდახედულობის შესახებ ცნობებს უნდა მოყვეს ბავშების გაცნობა საურთიერთო დაწესებულებებთან;

„მასწავლებელმა მოკლედ უნდა აუხსნას ბავშებს მნიშვნელობა საწარმოო, სამომხმარებლო და საკრედიტო კოოპერატივებისა".

ციპლინის ხშირად დარღვევისათვის, რისთვისაც, რა თქმა უნდა, ყოველთვის ისჯებოდა—მხრების აწევ-დაწევით გასცა პასუხი:

— უ, შე ჯაოტო (წინწკლებიანო)!.. ერთი დახედე შენს გასვრილ ხელებს, მელანში რო ამოგივლია ერთობ.

— არ იკითხავთ ახლა ფრუგოლინოს (ქარაფშუტა), საათის ციფერბლატს რო დამგვანებია?

— სად არი მისი განუყრელი მეგობარი ჯულიო (ხარბი)!.. რად იგვიანებს?

— ამბობენ, იგი ავათაარ.

ავათ არიო? ვინა სთქვა?

— მე ყველაფერს მოგიყვებით, —განაცხადა ფრუგოლინომ.

გულმტკინეულობამ სძლია სიხარული, ყველანი მოვგროვდით ფრუგოლინოს გარშემო და სმენათ ვიქეცით.

— ჩვენი მეგობრის დაიკელა თამაშობდა შუა-გულ ქუჩაზე. ეს იყო უნდა გაესრისა იგი გამოქანებულ ეტლს... ეტლი ისე დაახლოებია მას, რომ ბერს ეგონა, საბრალო ბავშს უსათუოდ გამოასალმებდა წუთისოფელს. ეს რო შეამჩნია ჯულიომ, მყისვე გაექანა ბავშისკენ და გადაარჩინა იგი დაღუპვას.

ვაშა! ყოჩაღ!—სიხარულით წამოიძახეს პაწია მეგობრებმა. ბავშებს ეს ამბავი ისე გაუხარდათ, თითქო ვინმე მათგანი დაეხსნათ განსაცდელისაგან.

— მე ყოველთვის ვამბობდი, ჯულიო მოხერხებული ბავშია მეთქი—გულწრფელად განაცხადა ფრინგველომ.

— ყოჩაღი-თქო—გაუსწორა მეორემ.

— მაგრამ—განაგრძობდა ფრუგოლინო,—ყოველთვის დამოუკიდებლათ კი ვერ მოიმკი ხოლმე კეთილი საქმის ნაყოფს: ჩვენი მეგობარი ეტლს მოჰყოლია, როცა იგი თავის დაიკოს ეშველებოდა, ეტლს მისთვის ფეხი მოუტეხია და ახლა იგი მწოლიარე ავათაა.

უღრმესმა თანაგრძნობამ აიტანა ჩვენი გული.

— საბრალო მეგობარი!—წამოიძახეს ამხანაგებმა.

— მარტო თანაგრძნობა არ კმარა,—ჩაურთო ფრუგოლინომ,—უნდა დავეხმაროთ.

— უნდა დავეხმაროთ, უნდა დავეხმაროთ,—წამოიძახა ყველამ. ხმაურობა დაირღვა ზარის ხმით. გაისმა ბორდონეს ბარიტონი:

— ბავშებო, კლასში შემოდით!

## II.

## საოცარი საგანი.

მასწავლებელი მაგიდას უჯდა და რაღაცას წერდა. თავი დავუკარით მას და ყველამ დავიკავეთ თავ-თავისი შარშანდელი ადგილი. უეცრივ ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა არაჩვეულებრივმა საგანმა, რომელსაც ჩვენ პირველად ვხედავდით. ეს იყო პატარა ოთხკუთხიანი ყუთი, ყავის ფერად შეღებილ-გაპრიალებული, გვერდებ-შემორგვალებული და ოქროს ფერადებით მორთული; მას ხელი ქონდა და ბინოკლს წააგავდა.

— რა უნდა იყოს ესა?

— რა დანიშნულება უნდა ქონდეს მას?

ყველას აინტერესებდა ეს საკითხი. ვინ იცის, თუ რაებს არ აწერდა ამ საგანს ჩვენი ფანტაზია.

-- სათუთუნეა! — ამბობდა ფრინგველო.

— არა, — ეგ საფულეა, — სთქვა ფრუგოლინომ.

— მართალია, — დაადასტურა მასწავლებელმა, რომელმაც ამ დროს წერა გაათავა. ის, რასაც თქვენ ახლა შეჩერებიხართ, ფულის შესანახავი ყუთია.

მასწავლებელი დაგვიახლოვდა და ყველას გვიჩვენა ეს ყუთი. ერთობ აგვიტანა ცნობის მოყვარეობამ. პაწია ყუთი ჩვენი გაკვირვების საგნათ იქცა. მასწავლებელმა დაგვიწყო მისი დანიშნულების ახსნა.

— აი აქ, მარცხნივ, მრგვალი ნახვრეტია, ხოლო ამ ნახვრეტს ზევით წარწერა: „საქაღალდე“.

— აქ კი, მარჯვნივ: — „საკრომე“.

-- უკნან პაწია კარია, რომელიც იკეტება.

-- ოჰ, რა ლამაზია!

— მშვენიერებაა! — წამოიძახეს ამხანაგებმა. 1)

---

1) მასწავლებელი ხსნის, თუ როგორ იხმარება ფულის შესანახავი ყუთი. ეს პაწია კასები პირველად შემოღებულ იქნა ინგლისში და შემდეგ დიდათ გავრცელდა ყველგან. იტალიაც არ ჩამორჩენია სხვა ქვეყნებს.

1. ფულის შესანახავი ყუთის მიზანია გაუღვიძოს თავის პატრონს ფულის შემონახვის სურვილი და წარმოადგენს საოჯახო შემნახველ კასას.

2. შემნახველი წიგნაკის საშუალებით ვინც ექვს ლირას მოაგროვებს, იგი უფასოთ სარგებლობს შემნახველი ყუთით.

— ყური დამიგდეთ, ჩემო კარგებო: ის, რასაც თქვენ თვალებს არ აშორებთ, არის იარაღი აღზრდისა და მასწავლებელი მომჭირნეობისა. ყოველ თქვენგანს შეუძლია ჰპოვოს მასში გასაღები თავისი ბედნიერებისა. ის საგანგებოთ გაკეთებულია იმათთვის, ვინც...

— ვინც ფულების მოგროვებას მოისურვებს! — მოისაზრა ფრინგველომ.

მასწავლებელს არ იამა ფრინგველოს ჩარევა, იგი დაუბრუნდა თავის მაგიდას და გვიბრძანა თავ-თავის ადგილის დაკავება.

## III.

## კრიჟანგობა და მომჭირნეობა.

მასწავლებელი განაგრძობდა:

— შენ, ჩემო ფრინგველო, დიდად ცდები, როცა გგონია, რომ ფულის შენახვა და ფულის მოგროვება ერთი და იგივეა. ეს რო ასე იყოს, მაშინ ჩვენ მაგალითი უნდა ავიღოთ ყოველი ხელმოჭერილი ადამიანისა და კრიჟანგისგან და არც არავის ექნებოდა უფლება გაერჩია ერთმანეთისაგან: სულ თავისკენ მიმწევი ძუნწობა და გამაკეთილშობილებელი და კაცის წამომყენებელი მომჭირნეობა.

მამა-ჩემი ყოველთვის აქებდა მომჭირნეობას და მეუბნებოდა: „დახარჯულ ათ დუკატს შემონახული ერთი დუკატი სჯობიაო“.*) ხოლო

---

3. წიგნაკში ასეთ შემთხვევაში იწერება: „6 ლირა ითვლება ყუთის გირაოთ“.

4. ყუთი იკეტება და მისი გასაღები ებარება ნდობით აღჭურვილ მოლარეს.

5. როცა ყუთის პატრონი მოისურვებს შემნახველ კასაში შეგროვილი ფულის შეტანას, მას მიაქვს კასის გამგეობაში წიგნაკი და ყუთი; უკანასკნელს აღებენ და იქ აღმოჩენილ ფულს აღნიშნავენ წიგნაკში, როგორც კასაში მობარებულ ფულს.

6. წიგნაკში შესაძლოა მხოლოდ ყუთში აღმოჩენილი ფულის ჩაწერა.

7. კასას უფლება აქვს მოითხოვოს ყუთის დაბრუნება § 3-ში აღნიშნული ფულის გაბრუნებით. თვით მომბარებელსაც შეუძლია დააბრუნოს ყუთი და მიიღოს უკან პირველად შეტანილი ფული.

8. ყუთი თუ გაფუჭებულად იქნა დაბრუნებული ან სულ არ იქნა დაბრუნებული, კასას უფლება აქვს დააკავოს გირაო.

*) Francesco Guicciardini, Ricordi.

მაკიაველი ამტკიცებდა, რომ „ხალხს მეტ ზარალს აყენებს მოქალაქეთა კრიჟანგობა, ვიდრე მტრებისგან მოყენებული დარბევაო“.

მაშასადამე, კრიჟანგობა და მომჭირნეობა სულ სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვები ყოფილა და უნდა ვიცოდეთ ერთმანეთისაგან მათი გარჩევა. კრიჟანგის მაგალითი გვიჩვენებს, რომ მავნებელია ფულის დანანება სასარგებლო საქმისთვის, მომჭირნეობა კი გვასწავლის, რომ ფულს უნდა ვუყუროთ, როგორც ისეთ საგანს, რომელსაც არ უნდა ვხარჯავდეთ უსარგებლო რამეებისათვის. მომჭირნეობა წინდახედულობაა, მომავალში მოსალოდნელი საჭიროების გათვალისწინება. ადამიანის ცხოვრებაში არის ბრწყინვალე და შავი დღეები; ხან ყველაფერი აქვს ადამიანს, ზედმეტი იმაზე, რაც მას ესაჭიროება, ხან კი არაფერი. აი მაშინ უნდა იზრუნო და შემოინახო შავი დღისათვის, მოსალოდნელი საჭიროებისთვის, როცა რამე გაგაჩნია.

მომჭირნეობა ფულის მექანიკურ მოგროვებას კი არ ნიშნავს, არამედ მომავლის მოთხოვნილებების გათვალისწინებასა და ამ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გონივრულ მომზადებას. მომჭირნეობა ყოველივე მნიშვნელობას კარგავს მაშინ, როცა იგი არაა დამყარებული გონივრულსა და საღ ეკონომიაზე.

„ჭამა ქონებაზე კიდიაო“, ნათქვამია. ეს იმას ნიშნავს, რომ **მოთხოვნილებანი უნდა შევუფარდოთ საშუალებებს;** ყოველთვის უნდა ვფიქრობდეთ ხვალინდელ დღეზე, ხვალინდელ საჭიროებაზე; როგორც გაზაფხული, ისე ახალგაზრდობაც დროებითია; **უნდა გავითვალისწინოთ მოსალოდნელი დაბრკოლებანი და საჭიროებანი და ვემზადოთ, რომ შევსძლოთ მათი გადალახვა,**—აი რას ნიშნავს მოსაზრებული მომჭირნეობა.

ამ საფულემ მარტო ფულის შეგროვების სურვილი კი არ უნდა გაგიღვიძოს, არამედ უნდა მოგაგონოს, რომ კარგ ამინდს ცუდი ამინდი მოჰყვება, ხოლო კმაყოფილებისა და ბედნიერების დღეს—გაჭირვება და შავი დღე!

— მაშ,—ჩაერია ახლა ფრინველო—საფულეში ჩაგდებულმა სალდომ...

— შესაძლოა გვიხსნას მოსალოდნელ დაღუპვისაგან.

— თუ კი ფულს იმისათვის მოვაგროვებთ, რომ მერე ყველაფერში დავხარჯოთ?

— ეს მომჭირნეობა არაა!

— რომ იამაყო სიმდიდრით?

— არც ესაა მომჭირნეობის აქტი: სიმდიდრეს უნდა ახლდეს შეგნება მისი სარგებლობისა და მნიშვნელობისა.

## IV.

## ეკონომია და მომჭირნეობა.

ცდება ბევრი, —განაგრძობდა მასწავლებელი, —როცა ფიქრობენ, რომ მომჭირნეობას გონივრულად მხოლოდ ფულით სარგებლობა წარმოადგენსო. მაგრამ ჩვენ უნდა დავზოგოთ არა მარტო ფული, არამედ დრო და ყოველი სხვა ნივთი, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია.

თქვენს შორის არის ერთი, რომელსაც საწერელი ყოველთვის ცარიელი აქვს, ხოლო ხელები მელანში ამოსვრილი. რა იქნებოდა, რომ ამ მოწაფეს ყაირათობა გამოეჩინა მელნის ხმარებაში?

ყველამ ჯიოტოს მიაპყრო თვალი. ჯიოტო ერთობ გაწითლდა.

— მეორე კი სასკოლო მოვალეობათა ასასრულებლათ დროს ვერ შოულობს, ხოლო, თამაშობა რომ არ მოიკლოს, ყოველთვის მიდორში დახტუნავს. აი მაგალითი ცუდათ დროს მოხმარებისა. ეკონომია უნდა დავიცვათ ჩვენი ცხოვრების ყოველ შემთხვევაში: არც ერთი საათი, არც ერთი წუთი, არც ერთი კაპიკი არ უნდა დავკარგოთ ტყულა-უბრალოთ, ყველაფერი უნდა შევუფარდოთ ჩვენს მოვალეობას. ამაშია მთელი საიდუმლოება ჩვენი ბედნიერებისა.

ჯიოტო და კასტიკო ბოდიშის მოსახდელათ წამოდგენ.

— მე ვიცი, თუ რის თქმა გინდათ თქვენა: ძლიერ მოხარული ვიქნები კიდეც, თუ ასრულებთ იმას, რასაც თქვენ ახლა ფიქრობთ, —დაასწრო მასწავლებელმა.

## V.

## მომჭირნეობა იტალიაში.

ბორდონე კლასის კარებთან გვიცდიდა. მკითხველი ალბათ მიხვდებოდა უკვე, რომ ბორდონე ჩვენი შკოლის დარაჯია. ამ გულკეთილსა, შრომის მოყვარესა და მომთმენ ადამიანს ერთი ნაკლი ქონდა: ჩვენს ხმაურობაზე ჩუმი პროტესტითა და გულჩახვეული ბუტბუტით პასუხის გაცემა, რის გამოც მას დაერქვა ბორდონე (ბუტუ).

მაგრამ ამ დღეს მას ისეთი არაჩვეულებრივი და მომღიმარე სახე ქონდა, რომ მან ძალა-უნებურათ მიიპყრო ჩვენი ყურადღება. გარს შემოვეხვიეთ მას.

— მე მოვისმინე გარედან მასწავლებლის მშვენიერი გაკვეთილი. მე ეს საგანი ისე ვიცი, როგორც ხუთი თავისი თითი.

— მართლა?—უნდობლათ შევეკითხეთ ჩვენ.

— სერიოზულათ გეუბნებით! თუ თქვენ ჩემს კაბინეთში შემოხვალთ—ასე უწოდებდა ბორდონე თავის პაწია და სრულებით უბრალო ოთახს—მე თქვენ გიჩვენებთ და დაგარწმუნებთ ამაში.

— რას გვიჩვენებთ, ბორდონე?

— მე გიჩვენებთ თქვენ იტალიაში პირველად დაარსებული შემნახველი კასის წიგნაკს.[1])

— კიდევ რას?

— გიჩვენებთ კიდევ თვითმოქმედებისა და მომჭირნეობის სახელგანთქმული მოქადაგე ინგლისელის წიგნს.[2])

— კიდევ?

— მე გიჩვენებთ კიდევ მეორე წიგნს: «იტალიის შემნახველ კასების სტატისტიკას».

— სჩანს—ცოტა ირონიის კილოთი შეეკითხა ფრუგოლინო—თქვენ ავტორიტეტი ყოფილხართ ამ საკითხში?!

— მე ავტორიტეტი არა ვარ, ჩემო ბავშებო, მაგრამ როცა იტალიაში კვიტინო სელლა სათოსტო შემნახველ კასებს აარსებდა, მე ბევრი წლის განმავლობაში ვმუშაობდი ამ იდეის გავრცელებისათვის.[3])

— გაუმარჯოს შემნახველ ბორდონეს!—წამოვიძახეთ ჩვენ.

— ნუ ხმაურობთ, ბავშებო! სჯობს მიპასუხოთ შემდეგზე: რამდენი შემნახველი კასაა იტალიაში?

---

[1]) ვენეციის შემნახველი კასა ქრონოლოგიურათ პირველია ასეთ დაწესებულებათაგან. იგი დაარსებულ იქნა მუნიციპალიტეტის თაოსნობით ლომბარდის შენობაში 1821 წელს; მოქმედება დაიწყო 1822 წლის 12 თებერვლიდან.

[2]) ს. სმაილსი. ხელმძღვანელი კითხულობს ნაწყვეტებს მისი ოქროს წიგნიდან: „მომჭირნეობა“.

[3]) ფოსტებთან კვიტინო სელლას და ლუიჯი ლუცატის თაოსნობით დაარსებული შემნახველი კასები შემოღებულ იქნა 1875 წლის 27 მაისის კანონით (№ 2779).

ჩვენ ხმა ჩაგვეკმინდა.

— აჰა, არ იცით?!. მე კი გეტყვით! იტალიაში არსებობს 184 შემნახველი კასა. კარგი ციფრია განა?

ჩვენ განცვიფრებაში მოვედით. ბორდონე განაგრძობდა:

— საოცრად გაზრდილია შესანახათ ამ კასებში მობარებული ფული, 2 ბილიარდს აღწევს.[1])

— 2000 მილიონს?!

— სავსებით მართალია! მერე მოყვება ფოსტებთან დაარსებული შემნახველი კასები, სადაც შენახულია 5 მილიონ წიგნაკში ჩაწერილი ანუ ხუთი მილიონი პირისგან შემოტანილი 1500 მილიონი ლირა.[2])

— საოცრებაა!

— და იცით მერე, რომ ეს ღარიბების მიერ სიმწრით მოგროვებული ფულია!

— მაშასადამე ჩვენ მდიდრები ვყოფილვართ, — წამოიძახა ფერინგველომ.

— ჩვენ ღარიბები ვართ, მაგრამ ყოველ ჩვენგანს შეუძლია გამდიდრდეს, თუ ყურს ათხოვებს მომჭირნეობის რჩევა-დარიგებას. ყური დამიგდეთ, დაფიქრდით! იტალიელის საშუალო სიმდიდრე უდრის 2589 ლირას; ფრანგის ორჯერ, ხოლო ინგლისელის — სამჯერ მეტს. ჩვენი ქონების გადიდება შესაძლოა შეუმჩნევლათ.

ხუყველანი შემოვეხვიეთ ბორდონეს და ვთხოვდით კიდევ განეგრძო. მან კი, მიღებული შედეგით მეტად დაკმაყოფილების ნიშნად, წვერებზე ხელი მოივლო და გვიპასუხა:

— დანარჩენზე მეორეხელ!

## VI.

### ღამე ახალი აზრების მომგვრელია.

ჩვენ თავ-თავის სახლში წავედით.

ბორდონეს მიერ მოთხრობილი მილიონები ფანტასტიურ სახეს

---

[1]) Ctatistica delle Cass di rispapmio italiane, ispettorato de credito e del le previdenza. Roma, 1907.

[2]) Ctatistica delle Casse di risparmio postali, Ministero delle Poste edei Telegrafi. Roma, 1908.

დებულობდა ჩემს ბავშურ ჭკუა-გონებაში. ერთი მხრივ ამდენი სიმდიდრე და მეორე მხრივ ჯულიოს უმწეო მდგომარეობა მწარე ფიქრებს მასვევდა.

დადგა საღამო. დავწევი ჩემს ოთახში, მაგრამ ძილი არ მეკარებოდა. ფარული სევდა გულს მიღრღნიდა; ზედმიწევნით მსურდა ამხანაგს დავხმარებოდი, მაგრამ არა გამაჩნდა რა და ეს გარემოება მთლად სასოწარკვეთილებაში მაგდებდა. ღამის სიწყნარემ საოცარ აზრებში გამხვია და ეს აზრები ბოდვათ მექცა.

გადიდებული გუბეებიდან ოქროს ფულები გადმოდიოდა.

გულკეთილი და ყოვლის მომთმენი ჯულიო კი თავის ოთახში იტანჯებოდა, ვითარცა წამებული, მაგრამ იმედს მაინც არა კარგავდა.

მე ვგრძნობდი მისი მამის უბედურებას: საბრალო ღარიბ ხელოსანს არა გააჩნდა რა, რომ შვილისთვის რიგიანათ ეწამლა. მესმოდა აგრეთვე მისი დედის გოდება, ტანჯვა, ვაება და მწუხარება.

ოქროს გუბეებიდან კი გადმოდიოდა და გადმოდიოდა ფულის ნაკადები, მაგრამ ტანჯვა და ვაება ამით არა ცხრებოდა.

მოვრჩი ამ ტანჯვას, გამომეღვიძა, მაგრამ კვლავ ცოცხლად დამიდგა თვალწინ ჯულიოს სახე და ჩემი უმწეობა.

ვიტანჯებოდი, ვშფოთავდი.

უეცრივ დამებადა ბრწყინვალე აზრი.

თუ არც ერთს ჩვენგანს—ვფიქრობდი მე—არ გააჩნია იმდენი საშუალება, რომ ამხანაგს ეყოს, ეს საშუალება ჩვენ შეგვიძლია ცოტ-ცოტაობით შევაგროვოთ, თუ ყოველი ჩვენგანი შემოიტანს იმდენს, რამდენიც შეუძლია. აკი დედა-ჩემი ხშირად მეუბნებოდა ხოლმე: „ყველამ რომ თითო ძაფი გაიღოს—შიშველს პერანგი გამოუვაო“.

კიდეც მივიღე დადგენილება: მოწვევა ამხანაგებისა, საჭირო ფულის მოგროვება და მისი წაღება ღარიბი მეგობრისთვის. რა საუცხოო აზრია! როგორი ბედნიერება და სიხარული!

მოჩვენება გაიფანტა და მე მაგრად დამეძინა.

## VII.

## ფულის მოგროვება.

ჯერ კიდევ არ იყო კარგათ გათენებული, როცა მე საუკეთესო მეგობრების ფანჯრებს ვუკაკუნებდი. მოკლეთ ვაცნობდი მათ ჩემს პრო-

ექტს და ყველა მიცხადებდა თანხმობას. საქმეს დაუყოვნებლივ შევუდექით.

დიდის აღფრთოვანებით იქნა მიღებული საერთოდ ფულის მოგროვების დადგენილება. ყველამ შემოიტანა თავისი წვლილი. ფრუგოლინომ მთელი კვირის განმავლობაში სახარჯავათ მიღებული ფული ერთად შემოიტანა. „მე ისიც მეყოფა, რაც წინეთ შემოვინახეო".

ფრინგველის გულში ღრმა სულგრძელობის აღტყინებამ იფეთქა: მან შემოიტანა ძველი მედალი, მთელი მუჭა გროშები და კიდევ გაიქცა ფულის მოსატანათ. ორი საათის განმავლობაში საკმაო თანხა მოგროვდა. ახლა უნდა გადაგვეწყვიტა, თუ როგორ უნდა გადაგვეცა ეს ფული ჯულიოსთვის.

ზოგიერთებმა განაცხადეს, რომ ეს ფული პირადათ მიეტანათ მისთვის; ამავე დროს ამხანაგსაც ვინახულებთო. სხვებს უნდოდათ ამ ფულის მეტანა შემნახველ კასაში ჯულიოს სახელზე.

— შემნახველი წიგნაკის ჩუქება უფრო ადვილი და უთაკილოაო, განაცხადა ჯიოტომ.

უკანასკნელი წინადადების წინააღმდეგ არავინ წასულა, თუმცა იგი შემოტანილი იყო ყველაზე უფრო უწესო და უხეში ამხანაგის მიერ.

გადაცემის ფორმაზე მე ნაკლებ ვფიქრობდი: მიღებული შედეგი დიდათ მაკმაყოფილებდა. ჩვენ მიერ მოგროვილ საუნჯეს სიხარულით შევსცქეროდი და ჩემი ბაგენი შეუმჩნევლად იმეორებდენ სტექეტის საუცხოო სონეტის სიტყვებს:

Quando, lettrice mia, quando vedrai
impazzir per le strade il carnevale,
oh, non scordarti, non scordarti mai
che ci son dei morenti all'ospedale!
Quando, bella e gentie, tu salirai
di liete danze alle sonanti sale,
volgiti indietro e la miseria udrai,
la miseria che piange in sulle scale
Quando ti riderà negli ocehi belli
come un raggio di sol, giocondo. amore,

pensa, che l'amor non ride ai poverelli.
Quando ti specchierai ti dica il core
che una perla rapita a'tuoi capelli,
solo una perla può salvar, chi muore.[1])

(თავისუფალი თარგმანი)

როდესაც ხედავ მორთულებსა და მხიარულებს,
ნუ მიეცემი, ჩემო კარგო, თავ-დავიწყებას!
გახსოვდეს მარად, რომ არიან უსახლკარონიც...
მშიერ-მწყურვალნი გლოვით მზერენ დღისა დაწყებას!
ან, როცა, თვითონ ნებიერი ეძლევი ლხენას,
მდიდრულ დარბაზში შენი ფეხი ცეკვავს, სრიალებს,—
ნუ დაივიწყებ, ჰოი ტურფავ, რომ მყრალ სარდაფში
მშიერი ბავშვი გლახაკისა კვნესის, წრიალებს!
ან, როცა, კოხტავ, ეშხით დამთვრალს, ეშხით მიბნედილს,
სიყვარულისა ცელქი ღმერთი გულს გიციალებს,—
ოხ, მოიგონე, რომ მაშვრალთა და ტვირთ-მძიმეთა
შავ-ბნელი ბედი უგზო-უკვლოდ ახეტიალებს!
ან, როცა, კარგო, მოგერთმევა ძვირფასი განძი,
თვალ-მარგალიტით დაიშვენებ მკერდის ყურეებს,—
გაიხსენე, რომ ერთი თვალი პატიოსანი
ათას ღარიბსა დაუამებს ტანჯვისა დღეებს!..

ი. ე.

## VIII.

### მოწყალება და წინდახედულობა.

კლასში შესვლისთანავე ჩვენ გავაგებიეთ მასწავლებელს ჩვენი გადაწყვეტილება და მისი შედეგი, რამაც ძლიერ გაახარა იგი, და მანაც გამოსთქვა სურვილი შეგროვილი ფულისათვის თავისი წვლილიც მიემატებია. ბორდონე კი ხმას არ იღებდა და, უკმაყოფილების ნიშნად, თავს მიმოაქნევდა. მან მოგვაგონა მეხის წინამორბედი შორეული გრგვინვა. მასწავლებელმა ეს შენიშნა და შეეკითხა:

— რას იტყვით, ბორდონე, ჩემ მოწაფეთა საქციელზე?

— ჰმ! — ჩაიბუტბუტა მან მოჭმუხვნილი სახით, — ეს მოწყალებაა, არც მეტი და არც ნაკლები. მოწყალება კი ამცირებს ადამიანს,

---

[1]) Carnebale, Olindo Guerrini, Postuma. Zanichelli—Bologna.

იწვევს წინააღმდეგობასა და შფოთს მიმცემსა და მიმღებს შორის. მე იგი არა მრწამს. კეთილმყოფელობა უნდა არსებობდეს, მე ამის მომხრე ვარ, მაგრამ იგი უნდა იყოს შედეგი კაცთა შორის დამყარებული სოლიდარული წინდახედულობისა, და არა ქველმოქმედებისა.

— თქვენ კი როგორ მოიქცეოდით?.. გულმოსვლით შევეკითხეთ ჩვენ.

— მე როგორ მოვიქცეოდი?.. თქვენ ამას მეკითხებით მე, იმ პირს, რომელსაც მთელი წლები ამ საქმის შესახებ ზრუნვაში გამიტარებია? როგორ მოვიქცეოდი მე? წინდახედულობა (previdenza) —აი რა არის საჭირო უპირველეს ყოვლისა! —წამოიძახა ბორდონემ, ზეცისკენ მოციქულივით ხელების აპყრობით.

ჩვენთვის აშკარა შეიქნა, რომ ბორდონე მართლაც თავიანი კაცი იყო! ჩვენ განცვიფრებითა და უნდობლათ ვიცქირებოდით, როცა იგი კლასიდან გადიოდა და იმეორებდა: წინდახედულება, დაზღვევა...

მასწავლებელი შეფიქრდა.

— ბორდონე მართალია, —ჩაილაპარაკა მან, თითქო თავისთვის. მოწყალება ამცირებს მიმღებს და არ სპობს უთანასწორობას. უნდა გამოვძებნოთ მეორე გზა ჩვენი მეგობრის დასახმარებლათ.

მასწავლებლის სიტყვამ ჩვენში გამოიწვია დიდი განცვიფრება.

— აი თქვენ დაინახავთ, რომ იგი გვირჩევს ფასიანი ქაღალდების ყიდვას. ჩვენი ფულით მეტს აბა რას გავხდებით?[1])

ამას შემდეგ მასწავლებელმა უკვე ხმამაღლა დაიწყო ლაპარაკი.

— „კავე“!—წამოიძახა მან უეცრივ, —„კავე“! —აი ნამდვილი გზა.

ხელახლა დავუძახეთ ბორდონეს.

---

[1]) აქ საჭიროა განმარტება და ქველმოქმედებასთან წინდახედულობის დაპირდაპირება. გულკეთილობა, უპირველესი სათნოება ქრისტიანობისა, გვიბრძანებს დავეხმაროთ გაჭირვებაში მყოფ თავის მოყვასთ. წინდახედულობა კი წინასწარ ითვალისწინებს მოსალოდნელ საჭიროებას და თავიდანვე ეძებს მის დასაკმაყოფილებელ საშუალებებს. ამნაირად იგი ასწავლის ხალხს ყაირათობასა და თანხმობას, იგი სოციალურია და ჰუმანიური. პრინციპათ აღსარებული მოწყალება კი ქმნის და ხელს უწყობს პაუპერიზმს, სილატაკეს.

## IX.

## საურთიერთო დახმარება შკოლებში.

— რა გნებავთ, ბატონო?

— გვითხარით, ბორდონე, იცნობთ თუ არა თქვენ „კავეს დაწესებულებებს“.

ბორდონეს თვალი გაუბრწყინდა, თითქო მის წინ ახალი ჰორიზონტი გაიშალაო.

— დიახ, ვიცნობ, ბატონო,—უპასუხა ბორდონემ.

— ხომ არ გვეტყვით რასმე მათ შესახებ?

ბორდონე თითქო გაიზარდა, მან ისეთის თვალით შემოგვხედა, რომ ჩვენ ადვილად მივხვდით, თუ რას ფიქრობდა იგი: „ხომ ხედავთ, მეც რაღაცას ვნიშნავარო“. შემდეგ შუბლზე ხელი ჩამოისვა და უპასუხა:

— ზოგიერთი მათგანი მე დავათვალიერე მაშინ, როცა საფრანგეთში ვიყავი. კავეს დაწესებულებები—იგივე შკოლის საურთიერთო დახმარებაა და სხვა არაფერი. საურთიერთო დახმარების ნიადაგზე მოწაფეთა შეკავშირების აზრი პირველად მოსვლია ჟან კავეს, სენის დეპარტამენტის კომერციული ტრიბუნალის მსაჯულს. თავისი იდეა პირველად მან გააცნო ხალხს 1881 წელს. იგი ამტკიცებდა, რომ მომავლის გათვალისწინებას ადამიანი ბავშობიდან უნდა შეეჩვიოსო, შკოლა მიაჩნდა მას საუკეთესო ადგილად, სადაც უნდა ჩაყრილიყო ასეთი აღზრდის საძირკველი. იგი სწერდა, ქადაგებდა და არწმუნებდა ხალხს ამაში და მხოლოდ თუთხმეტი წლის დაუღალავი მუშაობის შემდეგ იხილა მან თავისი შრომის ნაყოფი: პირველი საშკოლო საურთიერთო დახმარების დაწესებულება დაარსდა პარიზში 1896 წელს. კარგი იდეა გზას ყოველთვის გაიკაფავს ხოლმე. ახლა „პატარა კავებით“—ასე უწოდებენ შკოლის მოწაფეთა საურთიერთო დახმარების საზოგადოებებს მათი პირველი დამაარსებლის სამახსოვროთ—მოფენილია საფრანგეთი, ბელგია და სხვა ქვეყნები.

საფრანგეთში დაარსებულია 3272 ასეთი ამხანაგობა, მათში ითვლება წევრად 719,596 მოწაფე. მათ მოუგროვებიათ ოთხ მილიონზე მეტი ლირა. ავათმყოფობის დროს წევრებზე ეს ამხანაგობები წლიურათ მილიონზე მეტს ხარჯავენ.[1]

[1] Rapport sur l'éducation populaire. Eduard Petit. 1907. Paris. Imprimerie des journaux officals.

— ამხანაგობებში შეკავშირებულია 720,000-მდე მოწავე? მაშასადამე, საფრანგეთში ამდენი მოწავეა?

— მართლაც, ბავშვებო, ჩვენი ქვეყანა მოწავეთა რიცხვით საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებს ბევრათ ჩამორჩება და სწორეთ ამაში იმარხება ჩვენი სამშობლოს ჩამორჩენისა და სისუსტის მიზეზი.

— სულ ადვილია ასეთი ამხანაგობის დაარსება — განაგრძობდა ბორდონე. ყოველი მოწავე ყოველკვირეულად ათ-ათ ჩენტეზიმს აგდებს საერთო კასაში. ნახევარი მიდის ავათმყოფთა დასახმარებლათ, ხოლო მეორე ნახევარი—მოხუცთა საპენსიოთ. ამნაირად, ყოველი მოწავე წლიურად იხდის 2,60 ლირას ავათმყოფობისგან დასაზღვევათ და ამდენივეს საპენსიოთ.

ეს ციფრი ძლიერ ცოტათ გვეჩვენება, მიზანთან შედარებით, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მომჭირნეობისა და საშკოლო ორგანიზაციებს მთავრობაც უწევს დახმარებას. ამიტომ თითქმის მთელი შემოსავალი პენსიებისთვის იხარჯება.[1])

ახლა ცხადია, თუ რა სასწაულს ახდენს პროცენტის კაპიტალიზაცია.[2])

მაგ., 60 წლის კაცს სურს უზრუნველ იქნეს 60 ლირიანი პენსიით: მან უნდა გადაიხადოს 896,98 ლირა. იგი რომ 55 წლისა ყოფილიყო, უნდა გადაეხადა 1058,21 ლირა.[3])

---

1) აღნიშნეთ დამოკიდებულება ჰიგიენის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა სიკვდილის სიხშირესთან. სანიტარული სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ წმინდასა და ჰიგიენურ ბინებში ნაკლებათ იკიდებს ფეხს დიდი ავათმყოფობა, რომელიც ანადგურებს ცუდათ მორთულსა და ჯანმრთელობისათვის მავნე ბინებს. დაწვრილებით გამოკვლეული და შესწავლილია ჭლექი, სათფლე და სხვადასხვა გვარი ტუბერკულიოზი. კარგათ მორთულ ბინებში სიკვდილი აღწევს 3%, უსუფთაო და უჰიგიენო სახლებში 28—30%-მდის. ასეთივე შედეგის გამოტანა შესაძლოა პერსონალური ჰიგიენიდან, და ამიტომ ადვილი გასაგებია, რომ ზომიერი და სისუფთავის მოყვარული კაცი ავათ იშვიათად გახდება.

2) პროცენტის კაპიტალიზაცია ეწოდება თავნზე ყოველ წლობით პროცენტების მიმატებას. ვთქვათ, 100 ლირა წლიურად 5 პროცენტს იძლევა. წლის ბოლოს ის გახდება 105 ლირა; ორი წლის შემდეგ—110,25 ლირა; სამი წლის შემდეგ—115,50; ოთხი წლის შემდეგ—120,75 და ასე.

3) Rrof. Vincenzo Getti—Computisteria finanziaria—Rendite immediate e a tori essi al 4 per % Milano, Hapli.

ახლა კარგათ დამიგდეთ ყური!

ბავშის დაბადებისას შემოტანილი 100 ლირის $5^0/_0$-ანი კაპიტალიზაცია უზრუნველ-ყოფს მას 180 ლირიანი წლიური პენსიით 60 წლის შემდეგ.

ეგევე შეგიძლიათ თქვენ ყოველ წლიური ათლირიანი გადასახადით—და განა ეს სასწაული არ არის?!

ასეთივე სასწაულის მოხდენას თქვენც შესძლებთ, თუ საურთიერთო დახმარებას დააწესებთ. ეს დაწესებულება გარდა მორეული სიბერის პენსიის გათვალისწინებისა, გავლენას მოახდენს თქვენზე კარგათ შეიგნოთ სასკოლო მოვალეობანი და დაეხმაროთ ავათმყოფობის დროს თავის ღარიბ ამხანაგებს.

„როცა ჩვენს პაწია ავათმყოფებს სახლებში ვინახულებდი,— მითხრა ერთმა ამ კასაში მოსულმა,— მე თვალწინ მიდგებოდა მუშათა ოჯახების პირდაპირ წარმოუდგენელი გაჭირვება და ვაება. ბევრჯერ მომიხერხებია მათი მდგომარეობის შემსუბუქება და ამით ჩემ თვალწინ ჩემი მასწავლებლობის მისიაც ამაღლებულა: ვრწმუნდები კიდეც, რომ შკოლის მოვალეობაც იმაში მდგომარეობს, რომ გააღვიძოს მოწაფეთა ოჯახში ალტრუიზმის მაღალი გრძნობა“.[1])

---

[1]) C. jannot.—La mutualiti scolaire en XV arrodiasment de Paris. Hachette, 1905. შკოლაში საურთიერთო დახმარებას იტალიაშიც აღმოუჩნდენ მოსარჩლენი: პროფესორი ა. სტოპოლნი, რომელმაც პირველი ასეთი საზოგადოება დააარსა რომის ოლქში, და პროფესორი რუგარლი, რომელმაც დააარსა ასეთივე საზოგადოება მილანში. 1906 წლის დამლევს დეპუტატმა ვალერიმ დეპუტატთა პალატაში შეიტანა სათანადო კანონპროექტი, რომელიც მხოლოდ ამას წინად იქნა დაკანონებული კოოპერატორი მინისტრის კ. რაიტნერის დახმარებით. ლ. ლუცატის მფარველობით პიაჩენცაში 1908 წელს დაარსდა „იტალიის საშკოლო საურთიერთო დახმარების ასოციაცია“, საიდანაც ყველას შეუძლია სამაგალითო წესდებათა, საპროპაგანდო წიგნაკებისა და პრაქტიკული დარიგების მიღება და სხვ. ასოციაციას ყავს ინსტრუქტორები, რომლებსაც იგი გზავნის ადგილობრივ დახმარება-დარიგების მისაცემად და საზოგადოების დასაარსებლად. მისი თავმჯდომარეა დოქტორი მ. კაზალინი, იტალიის საშკოლო თვითდახმარების დაუღალავი მოციქული.

## X.

## საურთიერთო დახმარება.

უნდა გამოვტყდე, რომ ამ მომენტში ბორდონე საუცხოო ადამიანათ მეჩვენებოდა. ბრწყინავდა მისი თვალი, ხმა პირდაპირ სულს და გულს წვდებოდა. სჩანს, ჩვენც შეგვძლებია გაჭირვების შემსუბუქება! ამ მოძღვრულ სიტყვებში ჩართული იყო მთელი მისი სული. ჩვენ წინ იდგა შკოლის უბრალო დარაჯი კი არა, არამედ გამოჩენილი ფილანტროპი.

ჩვენ გარს ვეხვეოდით მას და ვეკითხებოდით:

— როგორ უნდა მოვიქცეთ?

— უნდა შეერთდეთ საშკოლო თვითდახმარების ორგანიზაციაში.

— ჯულიო?

— ისიც შემოვა ამ ორგანიზაციაში და მიიღებს დახმარებას ავათმყოფობის გამო.

— ჩვენ მიერ მოგროვებულ თანხას რაღა ვუქნათ?

— იგი იქნება კასის დასაწყისი ფონდი, რომელიც საჭიროა ჯულიოს დასახმარებლათ.

— მერე ეს ქველმოქმედება არ იქნება?

— არა, ქველმოქმედებამ ფერი იცვალა და იგი იქცა წინდახედულებათ. ხოლო ეს უკანასკნელი, რაშიც არ უნდა გამოიხატებოდეს იგი, არამც თუ არავის ამცირებს, არამედ აკეთილშობილებს ადამიანებს და აყენებს მათ სიკეთის გზაზე.

ბორდონეს უკანასკნელი სიტყვა დაიხურა მქუხარე ტაშისცემით. ამ წამს იგი ჩვენი სამშობლოს ერთ უწარჩინებულეს ადამიანათ გვეჩვენებოდა.

შინ რომ ვბრუნდებოდი, მე ძალაუნებურად ვფიქრობდი: რატომაა, რომ ბორდონე შკოლის უბრალო დარაჯის ადგილზეა დარჩენილი, როცა მან, როგორც სჩანს, ყველაფერი იცის?!

## XI.

## რა ვქენით?

მეორე დღიდანვე ჩვენ საქმეს აღტაცებით მოვკიდეთ ხელი. საჭირო იყო ჩვენი საზოგადოებისთვის საძირკვლის ჩაყრა, მშობელ-

თაგან თანხმობის მიღება, წესდების შემუშავება, ადმინისტრატორების არჩევა.

უნდა აღვიარო, რომ ჩემი სული და გული შეიპყრო ძლიერმა სურვილმა, რომელიც არ იყო მოკლებული პატივმოყვარეობას. მინდოდა თავის გამოჩენა, ამხანაგთა შორის პირველი ადგილის დაკავება. ძლიერ გამაჯავრა იმ ამბავმა, რომ ადმინისტრატორებათ მოწაფეთა არჩევა არ შეიძლებაო, რადგან ისინი ამ საქმისათვის ძლიერ პატარებიაო. ჩემ სოფლელთა შორის ამაღლების სურვილი საშველს მაინც არ მაძლევდა.

მოიწონეს ჩემი განზრახვა, რადგან მე მარტო საკამანდროთ კი არ მოვემზადე, არამედ დამორჩილებისთვისაც.

დავმორჩილდი კიდეც.

ბორდონესა და ფრუგოლინოსთან ჩვენ შევიმუშავეთ წესდება.

საქმე მალე მოგვარდა, რადგან საჭირო შეიქნა მხოლოდ მცირედი ცვლილება-დამატების შეტანა სხვა ამგვარ საზოგადოების წესდებაში. მაგრამ ბორდონეს უნდოდა, რომ ყველაფერი მარტივი და გასაგები ყოფილიყო: რამდენის გადახდა იყო საჭირო, რისთვის უნდა გვეხადა ფულები და რა უნდა გვექნა ამ ფულებისთვის? აუცილებელი შეიქნა დაწვრილებითი წესების შემუშავება. წესდებაში ეს წესები ასე დაეწყო:

თავი 1.—ორგანიზაცია და მიზანი საზოგადოებისა.

» 2.—უფლება და მოვალეობანი წევრებისა და მათი გამორიცხვა;

თავი 3.—დახმარება ავათმყოფობისას; პენსიები.

» 4.—საზოგადოების ადმინისტრაცია.

» 5.—ბალანსი, შემოსავლები, სასუბსიდიო ფონდი, საპენსიო ფონდი, მემკვიდრეობის წესი.

ბევრი აღმოჩნდა საზოგადოებაში წევრად შემოსვლის მსურველი. საკმაო იყო დამხმარეთა და თანამგრძნობთა რიცხვი. საშკოლო ადმინისტრაციაც ყოველგვარ დახმარებას გვიჩენდა. განხორციელდა ჩვენი ოცნება: ერთი სიტყვით, დაარსდა ჩვენი სოფლის მოსწავლეთა საურთიერთო დახმარების საზოგადოება.

## XII

### ჯ უ ლ ი ო.

მაგრამ უნდა დავსწრებოდით ამხანაგს. ეს დელიკატური მისია მომენდო მე და რამდენსამე ჩემს მეგობარს. გავემგზავრეთ ჯულიოსთან.

მზე მთას ეფარებოდა და მის მწვერვალს ოქროს ფერს აკრავდა. პირ-სახეს მსუბუქი ქარი ელერსებოდა. ყურძნის მკრეფავ ქალთა სიმღერა ბულბულის საამო მელოდიას უერთდებოდა. ყველაფერი ხარობდა ჩვენს გარშემო, მაგრამ ჩვენი გული მაინც სევდას ქონდა მოცული. ჩვენი სული ჯულიოსთან იყო.

— რა უნდა ვუთხრათ? როგორ უნდა ავუხსნათ ამხანაგს ჩვენი მისვლის მიზანი?—განცვიფრებით ვეკითხებოდით ჩვენ თავის თავს.

გამბედაობა მოვიკრიბეთ, ავედით კიბეზე და სახლში შევედით.

უბრალო ოთახში ჩვენი ყურადღება უეცრივ მიიპყრო ორმა იშვიათად ერთად მოსათავსებელმა მოვლენამ: სიღარიბემ და მასთან სისუფთავემ. ორი სკამი, პაწია მაგიდა, ასეთივე შკაფი და უბრალო ტახტი, რომელზეც ჩვენი მეგობარი იწვა.

ჩვენ მივუვარდით და გადავეხვიეთ მას.

მისი თვალი სიხარულის ცრემლებით ბრწყინავდა, გულკეთილი ბავში კიდეც იცინოდა და კიდეც ტიროდა.

— მე მოგელოდით თქვენ, ჩემო საყვარელო მეგობრებო,—სთქვა მან აკანკალებულის ხმით. გული მეუბნებოდა, რომ თქვენ მოხვიდოდით. დიდათ მასიამოვნა თქვენმა მოსვლამ. მე უკვე ვრჩები, თქვენი ნახვა გულს მიმხნევებს.

— ჩვენ ვიცოდით შენი უბედურება!

— შენი მშვენიერი საქციელიც!

— დიდი ხანია შენთან მოსვლას ვემზადებოდით.

— მართლა?..

— სულ შენზე ვფიქრობდით, მაგრამ ჯერ გვინდოდა...

— რა გინდოდათ?

შენთვის ახალი ამბავი არავის გაუგებინებია?

— რა ამბავი?

— ჩვენ დავაარსეთ ჩვენი სოფლის მოწაფეეთა საურთიერთო დახმარების საზოგადოება.

— დამცინით არა?

— არა, არა! მართალია! წესდება შემუშავებულია; ამხანაგებმა გამოსთქვეს სურვილი, პირველდაწყებითი ფონდი შეგროვებულია. ჩვენ მოვედით შესაკითხავათ: გსურს თუ არა, რომ შენც ჩაეწერო წევრად ჩვენს საზოგადოებაში?

— დიდი სიამოვნებით! — წამოიძახა ჯულიომ ფართოდ გადებულ თვალებში ცრემლ მოკიდებით.

— მაშ, მოაწერე ხელი ამ ფურცელზე!

— მე ვფიქრობ, რომ მშობლები ამის წინააღმდეგი არ იქნებიან, — სთქვა ჯულიომ, როცა ხელს აწერდა.

— ახლა საჭიროა ჩვენთვის ზოგიერთი ცნობა, — წამოვიძახე მე. გვითხარი, რამდენი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც შენ ავათ ხარ?

— ოცი, მაგრამ მთელ საუკუნეთ მომეჩვენა ეს დღეები.

— მაშ, წესდებით შენ გიწევს ათი ლირა და კიდევ სიმამაცისთვის ამხანაგების დადგენილებით — 30 ლირა, სულ 40. აი კიდეც ფულები: მიიღე!

ვერცხლის ფულთა გროვამ დაიჩხრიალა კაპრიალებული მაგიდის ზედაპირზე.

— აი ნაყოფი თანხმობისა, — წამოიძახა ფრინგელომ.

ვერცხლის ფულთა ჩხრიალზე, რაც ამ ღარიბ ოჯახში იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა, შემოვიდა ჯულიოს დედა.

— რა გულკეთილი ყოფილხართ! — წამოიძახა მან. რა სულგრძელი ყოფილან ჩემი ჯულიოს მეგობრები!..

— სრულებითაც არა, უგულკეთილესო დედილო, — შეაწყვეტინა ფლუგოლინომ, — ეს არის სუბსიდია, რომელიც შკოლის საურთიერთო დახმარების საზოგადოების წევრებმა მოვუტანეთ თავის ავათმყოფ თანაწევრს. ამიტომ მადლობას ნუ გვეტყვით.. ჯულიოც ამასვე იზამდა, რომელიმე ჩვენგანი ავათ რომ გამხდარიყო.

არასდროს არ დამავიწყდება ამ ღარიბი ქალის თვალთა კეთილშობლური გამომეტყველება. ის პირდაპირ გაოცებული იყო. მისი ხმა კანკალებდა. იგი შვილსა და ჩვენ გვედიმებოდა, ამასობაში მის თვალებში ორი დიდი ცრემლი ბრწყინავდა.

— გმადლობთ, ჩემო მეგობარნო!

- ამაზე ნუ დაიწყებთ ლაპარაკს!

— ამაზე ნუ დაიწყებთ ლაპარაკს!

— მალე კიდევ გინახულებთ.

— და მოგიტანთ ახალ სუბსიდიას.

— გაუმარჯოს შკოლის საურთიერთო დახმარების საზოგადოებას!

— გაუმარჯოს ბორდონეს, რომელმაც მოგვცა მისი დაარსების იდეა!— ისე წამოიძახა ჯიოტომ, რომ თითქო იგი შკოლის მოედანზე ყოფილიყო.

ბევრმა წელმა გაიარა მას შემდეგ, მაგრამ ჩემი მეხსიერებიდან ჯერაც არ აღმოფხვრილა ხსოვნა იმ დღისა. ოჰ, რა ძნელია გამოხატვა კეთილი საქმის შეგნებით გამოწვეული სიხარულისა!..

## XIII.

## მ ა დ ლ ო ბ ა.

ბავშთა შორეული ხმაურობა თანდათან წყნარდებოდა. მოულოდნელი სიხარულის გამო ჯერ კიდევ გონს მოუსვლელი დედა სიხარულით უცქეროდა მაგიდაზე დაჩხრიალებულ ვერცხლის ფულთა გროვას.

— სწორეთ მოსწრებაა, —ფიქრობდა საბრალო ქალი.

მართლაც, მას უკვე გაუთავდა შემონახული მცირედი ფული.

— მაგრამ რამდენი მტვერი დაუყენებიათ მაგათ! —წამოიძახა მან, როცა წმენდა დაუწყო თავის უბრალო ავეჯეულობას. შემდეგ მიუბრუნდა შვილს და განაცხადა:

— ახლა ჩვენ შეგვიძლია კრედიტორს ვალი დავუბრუნოთ, გავისტუმროთ მეღუქნე, და კიდევ დაგვრჩება ფული. რა მშვენიერებაა! მე კი ძლიერ მეშინოდა ხვალინდელი დღისა!

ეს მცირედი თანხა ჯულიოს წამლობაში დიდ დახმარებას წარმოადგენდა ღარიბი ქალისათვის. რამე ტკბილეული, რა თქმა უნდა, ძლიერ გაახარებს პატარა ავათმყოფს!

— აქედან ერთ ფულს სამახსოვროდ შევინახავთ, —სთქვა დედამ.

— გადადევი ორი, დედილო, —უპასუხა ჯულიომ.

— კარგი, შვილო, —ორს შევინახავ, რაკი ასე გსურს.

— მე სხვებსაც მინდა ვაგრძნობინო ისეთი სიხარული, რანაირიც

თვით მე ვიგრძენი დღეს. ეს ფული პირველი ჩემი გადასახადი იქნება საშკოლო კასაში.

დედამ თავის დაქნევით თანხმობა გამოაცხადა. მეტი ხმის ამოღება არც ერთს მათგანს არ შეეძლო, ისე აღელვებული იყვნენ სიხარულით. ეს ღარიბი ადამიანები უკვე არა გრძნობდენ თავს განმარტოებულათ, ღვთის ანაბარათ დატოვებულათ. კეთილშობილურმა საქმემ აღათფრთოვანა ისინი და მათ განიზრახეს სამაგიეროს გადახდა. დედა და შვილი აცრემლებულნი შესცქეროდენ ერთმანეთს. სიჩუმე დაირღვა კიბეზე ამავალი მამის ხმით.

— ჟულიო, ჩემო ჟულიო, როგორა ხარ, როგორ გრძნობ თავსა?

ოჰ, ამ დღიდან ჟულიომ უეცრივ თავი უკეთ იგრძნო.

## XIV.

## წინდახედულობის გეოგრაფია.

სულ მოკლე ხანში ბორდონე ჩვენი განუყრელ ბეგობრათ იქცა. ის იყო ჩვენი დამრიგებელი, ჩვენი ავტორიტეტული ხელმძღვანელი.

მე მგონია, რომ, თავის მხრივ, იგიც გაიმსჭვალა ჩვენი აღმაფრთოვანებელი ახალგაზრდური აღტაცებით. მისი სიტყვების გავლენით ჩვენ წინანდელზე უკეთესები გავხდით. ჩვენს გვერდით ისიც მაგრად და ყოჩაღად გრძნობდა თავს. ახლა სულ ჩვენს განკარგულებაში იყო ის წიგნები, რომელსაც წინათ დიდის გაფაციცებით გვიმალავდა ხოლმე. მოკლეთ, გაიხსნა სული ამ კაცისა და ჩვენც ბევრს ვგებულობდით ამ კეთილსა და პატიოსან პიროვნებასთან დაახლოებით.

ერთს მშვენიერ დღეს ბორდონემ თავის ბინაზე მიგვიხმო და ჩვეულებრივზე, უფრო გაბრწყინვებული სახით გვაგრძნობია, რომ უნდოდა ჩვენი გაცნობა იმ გამოკვლევასთან, რომელიც მას მოეხდინა წინდახედულობის გეოგრაფიაში.

ამ ამბავმა ჩვენში დიდი ცნობისმოყვარეობა გამოიწვია.

— ჩვენ დიდ დროს ვანდომებთ მდინარეთა და მთების შესწავლას, ხოლო ადამიანებს ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ. დედამიწას უნდა ვსწავლობდეთ ადამიანის მოთხოვნილებათა მიხედვით.

მისი ამ სიტყვებიდან ჩვენ ის დასკვნა გამოვიტანეთ, რომ მის მეთოდს უნდა გადაეტრიალებია ყველა დღემდი არსებული სისტემა.

თავის მეთოდს მან არხეინათ უწოდა: „წინდახედულობის გეოგრაფია“!—უკანასკნელი სიტყვა ექსპერიმენტალური მეცნიერებისა!

ჩვენ პირდაღებული ვუცდიდით.

## XV.

## სახალხო აღწერა.

ყური დავუგდოთ ბორდონეს: მისი სისტემა მეცნიერულ საფუძველზეა დამყარებული. უკანასკნელს წარმოადგენს „სახალხო აღწერა“, ჩვენთვის სრულებით გაუგებარი სიტყვა.

— გახსოვსთ თუ არა თქვენ 9 და 10 თებერვლის ღამე?[1]

ვის უნდა ხსოვნებოდა ეს ღამე? ჩვენ ერთმანეთს ვაცქერდებოდით და გაჩუმებული ვიყავით.

— ამ ღამეს თქვენს მამას წინდაწინვე გამზადებულ ფურცელზე უნდა დაეწერა თავისი და აგრეთვე მთელი თვისი ოჯახის წევრთა სახელი, მამის სახელი, წლოვანება, სქესი, პროფესია და სხვა ცნობები.

— დიახ, დიახ, მაგონდება,—ჩაურთო ფრინგველომ,—ასეთ ბლანკებს ბატონი სინდიკი არიგებდა.

კარგი! აი სწორედ ისეთი ბლანკები დაურიგდა კომუნის ყველა ოჯახს. იტალიის ყველა სინდიკი ამასვე შვრებოდა სხვა კომუნებშიც, ასე რომ აღნიშნული დღის ერთსა და იმავე საათს გამოანგარიშებულ იქნა, თუ რამდენი იყო მცხოვრები იტალიის 8261 კომუნაში.

— აი რა ხერხი მოუხდენიათ თურმე!

— გაიგეს ამნაირად, რამდენია ოჯახი, რამდენ სახლში რამდენი სული, რამდენია ცოლიანი, რამდენია ბავში და მოხუცებული, რომელ პროფესიას რამდენი პირი ეწევა და ასე. აი რა არის სახალხო აღწერა.[2]

---

[1] იტალიის გაერთიანების შემდეგ პირველი აღწერა მოხდა 1881 წლის 31 დეკემბერს, ხოლო უკანასკნელი, 1900 წლის 16 ივნისის კანონით დანიშნული,—1901 წლის თებერვლის 9 და 10-ს შუა ღამეს.

[2] აღწერილობის მუშაობა იყოფა ორ ნაწილათ: წინასწარი და დასკვნითი. წინასწარ მუშაობას წარმოადგენს ბლანკებში ცნობების ჩაწერა და მცხოვრებთა და სახლების გამოანგარიშება და ბლანკების განაწილება. დასკვნის გამოსაყვან მუშაობას წარმოადგენს კომუნალური საბჭოებისა და ცენტრალური სასტატისტიკო დირექციის მიერ ამ მასალების სტატისტიკურად დამუშავება, რომელიც გამოიხატება სტატისტიკურ ცნობათა შეგროვებასა და მათ კლასიფიკაციაში.

ჩვენ გავკვირდით. ბორდონე ჩვენს თვალში პირდაპირ სასწაულს წარმოადგენდა.

## XVI.

### ა ღ მ ო ჩ ე ნ ა.

— მე ვფიქრობ, თქვენ ყველამ იცით, რომ იტალიის მცხოვრებთა რიცხვი 32 მილიონამდი მიაწევს.[1])

— სრულებით მართალია, —წამოიძახა ამის მცოდნე ფრინგველომ.

— მაგრამ ვეჭვობ თქვენ იცოდეთ, რომ იტალიაში $4\frac{1}{2}$ მილიონი სახლია, თითქმის 7 მილიონ ბინათ დაყოფილი; 50,000 ოჯახი, რომელთაც ბინა არა აქვს და ცხოვრობს ბარაკებში, მადაროებსა და ქოხებში, რომელთაც სახლები არც კი ეწოდება.[2]) მაგრამ თქვენ უფრო აი რა გაგაკვირვებს: იტალიელები მშრომელი ხალხია, რადგან 33 მილიონ მცხოვრებისგან მხოლოდ 1,250,331 კაცი ეკუთვნის მდიდართა და კაპიტალისტთა კლასს.[3])

მაგრამ აღწერა აშკარავებს კიდევ მეორე მოვლენას: წერა-კითხვის არამცოდნე იტალიელთა რიცხვს. წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვით იტალიის საუკეთესო პროვინციები ჩამორჩება ევროპის მოწინავე ქვეყნების უკანასკნელ პროვინციებს.

ამ სიტყვებით ბორდონემ გვიჩვენა დაფერადებული დიდი ქარტა, წარწერით: **იტალიაში ნაკლებათ სწავლობენ!**

— რას ნიშნავს ეს?

ეს იმასა ნიშნავს, რომ იტალიაში ცოტაა მოსწავლეთა რიცხვი, ხოლო ბევრია წერა-კითხვის არამცოდნე. ეს სჩანს ამ დიაგრა-

---

1) 1901 წლის აღწერით იტალიის მუდმივ ან ფაქტიურ მცხოვრებთა რიცხვია 32,475,253. იტალიაში მომსვლელთა, ან დროებით მცხოვრებთა რიცხვი მიაწევს 32,966,307 სულს.

2) აღწერილობის ცნობით იტალიაში 4,569,500 სახლია, 6872,985 ბინათ დაყოფილი. რადგან აღწერილ ოჯახთა რიცხვი 7,027,524-მდი ადის, აქიდან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ 50,000-ზე მეტი ოჯახი უსახლკაროთაა დარჩენილი. ამ სტატისტიკურ დასკვნას ამტკიცებს აგრეთვე სხვა მეცნიერული გამოკვლევებიც.

3) იხ. გვ. 141 «დემოგრაფიის სახელმძღვანელოსი» N. Colajani, Napoli, Luig Pirro editore, 1904 წ.

მიდან. დააკვირდით, რანაირ ნაწილებათ იყოფა იტალია წერა-კითხვის არამცოდნეთა რიცხვით. აი იქ, ზევით, პიემონტო, ლომბარდია, ვენეციის ოლქია,—ყველა ისეთი რაიონია, სადაც განვითარება მაღალ საფეხურზე დგას, სადაც წერა-კითხვის არამცოდნეთა რიცხვი საშუალოდ 30 პროცენტამდი ადის. დაბლა, აბრუცში, კამპანიაში, აპულიაში, ბაზილიკატში, კალამბრიაში და კუნძულებზე წერა-კითხვის არამცოდნეთა რიცხვი პირდაპირ არცხვენს ნაციას: 80—90$^0/_0{}^0/_0$-დის.

ამ სიტყვებმა ბორდონეს ხმა აუკანკალა. მე კი ტანში ჟრუანტელმა გამიარა. ინსტიქტიურად დავხარე თავი, თითქო ეს სიწბილე, სირცხვილი, დიდ ლოდათ დამწოლოდა კისერზე. შემეშინა ჩემ თვალწინ გამოჩენილი აჩრდილისა, რომელსაც „უმეცრება“ გამოხატავდა.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა.

თავი რომ ავწიეთ, ჩვენ დავინახეთ ბორდონე, რომელსაც ხელი შკოლისკენ გაემართა და თითქო ამით გვეუბნებოდა:

— აი იქაა მომავალიო!

## XVII.

### დაპირდაპირება.

გამოჩნდა მესამე ქარტა.

— დაპირდაპირებათაგან გამომდინარეობს დიდი დასკვნა. იქ, სადაც მეტია სწავლა-განათლება,—მეტად გავრცელებულია კოოპერაციისა და წინდახედულობის სული; იქ კი, სადაც უმეცრებაა გამეფებული,—დამკვიდრებულია სულ წინააღმდეგი მოვლენა.

და იქ, სადაც ბევრია წერა-კითხვის არამცოდნე,—ნაკლებია წინდახედულობის ნაციონალურ კასაში ჩაწერილთა რიცხვიც. დააკვირდით სამხრეთ რაიონებს: ყველა ეს რაიონი ღარიბია ყაირათით. მაგრამ უმეცრება მეორე უბედურებას იწვევს აგრეთვე — ლატარიებით გატაცებას. სალატარიო კასათა რიცხვი იზრდება წერა-კითხვის არამცოდნეთა რიცხვის მიხედვით. საშუალოდ ასეთ კასათა რიცხვი 300—500 ადის თითოეულის ათასი მცხოვრების კვალობაზე, ნეაპოლიტანისა და პალერმის ოლქებში. ამნაირად, იტალია იყოფა ორ ნაწილად: ერთი სწავლობს, ყაირათობას ეწევა, პროგრესს ეძლევა; ხოლო მეორე—ლატარიას ეტანება და სულს სიღატაკესა და უმეცრებაში ლაფავს.

პოლიტიკური გაერთიანება უნდა მთავრდებოდეს მორალური გაერთიანებით. ბრძოლით მოპოებული თავისუფლების დასაცავათ საუკეთესო საშუალებას ინტელექტუალური თანასწორობა წარმოადგენს. ეს არ არის ადვილი საქმე: ყველანი უნდა გავიმსჭვალოთ ამ გადაწყვეტილებით, და სხვებზე უმეტ ადრე კი თქვენ, ძვირფასო ბავშებო, რადგან თქვენა ხართ მომავალის ძალა და იმედი!

## XVIII.

### კ ა მ ა თ ი.

მაგრამ კასტიგო არ დაკმაყოფილდა ბორდონეს განმარტებით.

— მერე რა გამომდინარეობს აქიდან, - სთქვა მან. ბევრმა არც წერა და არც კითხვა იცის, მაგრამ მშვენივრად ასრულებს ეკონომიის წესრიგს; ბევრი სწავლული კი პირდაპირ უთაობისა და მფლანგველობის მაგალითს იძლევა. ინგლისელ პოეტს, ბაირონს, თავის მიერ დაწერილ ლექსებზე უფრო მეტი ვალი ქონდა. რას ნიშნავს ეს?

— ეს იმასა ნიშნავს, რომ შესაძლოა კაცი წერა-კითხვის არამცოდნე იყოს და იმავე დროს ეკონომიის დამცველიც; შესაძლოა აგრეთვე, კაცი სწავლულიც იყოს და ბედოვლათიც. მაგრამ ეს გამონაკლისებია. საერთოდ დამტკიცებულია, წესი და კანონი გვიჩვენებს, რომ სწავლა-განათლება კაცს ამაღლებს და აკეთილშობილებს.

— ეს შეუძლებელია, — იცავდა თავისას კასტიგო, — არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც სწავლა-განათლება არა აქვთ, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ყველას შეგვიძლია მათგან ჭკუის სწავლა.

— ეს გამონაკლისია!

— არა, ეს არ არის გამონაკლისი!

— გამონაკლისია!

მხოლოდ მასწავლებელმა შესძლო კამათისთვის ბოლოს მოღება.

— ჩემო ბავშებო, -- სთქვა მან, — განუსაზღვრელი არაფერია, ყველაფერი პირობითია, ისიც კი, რაც უეჭველათ გვეჩვენება ხოლმე. ერთმა დიდებულმა მოაზროვნემ, ფილოსოფოსმა, წიგნი გამოსცა: „ყოველი ახლად გახსნილი შკოლა დახურულ ციხეს მოასწავებსო“. სხვები ამტკიცებენ, რომ სწავლა-განათლება ამტკიცებს და ავითარებს სულ სხვა ინტერესებსო. ჩვენ კი დავკმაყოფილდეთ იმის რწმენით,

რაც ყოველდღე ხდება ჩვენს თვალწინ: სწავლა-განათლება და კეთილმდგომარეობა ისე მჭიდროთაა ერმანეთთან დაკავშირებული, რომ მეტად ძნელია გარჩევა, თუ რომელი ერთია მეორის გამომწვევი მიზეზი. შესაძლოა,—და ეს ყველაზე უფრო სწორია,—რომ ორივე გავლენას ახდენს ერთმანეთზე და ერთმანეთს ავსებს. მაშ, ვიზრუნოთ ყველამ იმაზე, რომ გავუმჯობესდეთ აღზრდისა და ეკონომიის საშუალებით.[1])

## XIX.

## სალატარიო კასა.

აქობამდი მე არასდროს არ მიმიქცევია ყურადღება სალატარიო კასებზე. მახსოვს მხოლოდ პატარა და ცუდათ მორთული დუქანი, სადაც მრავალი ხალხი თავს იყრიდა პარასკეობით საღამოს, ხოლო კვირაობით—დილას; მეტი არაფერი.

მაგრამ ბორდონეს მიერ ნაჩვენებ ქარტაში სამხრეთ იტალიაში მოფენილმა ნიშნებმა ძალა-უნებურათ მაფიქრებია ამ კასების გაცნობა. მე გადავწყვიტე ამ ხაფანგში შეჭვრეტა, რომელშიც უმეცრება იტყუებს ხოლმე თავის მსხვერპლებს.

პირველი ჩემი შთაბეჭდილება იყო ღრმა განცვიფრება. ვერ გამეგო, თუ როგორ უნდა გაეღვიძებია ამ პატარა ცარიელ დუქანს გამდიდრების სურვილი ამდენი ღარიბი ხალხისათვის. შეთხიპნულ კედლებზე მიწებებული იყო აფიშები; უშნო სიგრძის მაგიდას უჯდა ორი კაცი, რომელნიც რაღაცას წერდენ; ოთახი ყარდა საძაგელი სიგარის სუნით; კუთხით 3 ქალი ერთმანეთს ედავებოდა. მათგან ყველაზე მოხუცს, სათვალიან ქალს, ეკავა შემოხეული და დიდი ხნის ნათრევი წიგნი; ეს იყო სიზმრის ახსნა—ორაკული, რომლის ცნობილ ავტორიტეტსაც ქალები ხშირად მიმართვენ ხოლმე.

---

1) ამავე აზრს ადგია პროფესორი კალიანიც: „დიდი სწავლა-განათლება ხელს უწყობს სიმდიდრის შექმნას; მაგრამ, თავის მხრივ, სიმდიდრე და ეკონომია ხელს უწყობენ სწავლა-განათლების გავრცელებასა და განმტკიცებას“.

„ცხადია, რომ შკოლას თავისდათავათ კი არ შეუძლია ადამიანთა გარდაქმნა; მაგრამ იგი ეხმარება სხვა ფაქტორებს, ხდის მათ უფრო მიზნის შესაფერისად მორალური აღზრდის საქმეში“ (იხ. ალნ. თხზულება).

— სამიანი უზრუნველყოფილია! მე გაძლევთ ამის სიტყვას!

— ძნელია მაინც „ნუმერო-ფრანკოს“ გამოცნობა.[1])

— რასაკვირველია! მაგრამ ამის შესახებ დაიმედებული ბრძანდებოდეთ,— ირწმუნებოდა სათვალიანი დედაბერი.

— მაშ კარგი... ახლა მომაკვდავი წმიდანი?

— ახლავე გადმოვალ... მომაკვდავი... წმიდანი...

— აი ეს კიდეც — 37, საუცხოო რიცხვია! გაძლევთ სიტყვას! იგი იშვიათად მოდის; მაგრამ თუ მასზე მიუთითებს ორაკული, მაშინ რაღა ლაპარაკია საჭირო!?

— რასაკვირველია!

— ახლა კი, სახლის ნუმერი.

— ამის მონახვაც ადვილია: 62.

— შემდეგ, წლოვანების რიცხვი.

— ორმოცდაათი წელიწადი და სამი თვე.

— ორმოცდაათი,— გაუსწორა დედაბერმა,— თვეები არ იანგარიშება.

— მერე გარდაცვალების დღე.

— ოცდახუთი. უეჭველათ მოიგებთ. გაძლევთ პატიოსან სიტყვას!

დედაბერმა წიგნი გადადვა, აიხადა სათვალე და თვალები ამოიფშვნიტა; თავი მიანება წმიდანის ბედის გამოცნობას, რაიც მანამდი მათი ყურადღების განსაკუთრებულ საგანს შეადგენდა.

— დაგვრჩენია გავიგოთ — რომელ მაგიდაზე ჩავეწეროთ?

— ფლორენციაზე, ჩემის აზრით,— სთქვა ყველაზე ახალგაზრდა ქალმა, რომელიც მანამდი ხმას არ იღებდა.

მაგრამ დედაბერი სხვაფრივ ფიქრობდა.

— სულ არ არის საიმედო ეს მაგიდა! ცოტა ხნის მოფიქრების შემდეგ კი წამოიძახა, თითქო რაღაც გამოეცნო: ტურინი და რომი! ტურინში დაიბადა და რომში ეპისკოპოსად აირჩიეს! მაშ, ტურინი და რომი! უეჭველი საქმეა! მოგება უზრუნველყოფილია! პატიოსან სიტყვას გაძლევთ![2])

---

1) „Numero franco“ — უეჭველათ მომგები ნუმრის სახელია.

2) საშუალო რიცხვით თითოეული მცხოვრები ლატარიაზე $2^1/_2$ ლირას ხარჯავს. სახელმწიფო მომგებს აძლევს მხოლოდ მოგებულის ნახევარს. ფართო ხასიათი ლატარიაში მონაწილეობის მიღებას მიღებული

მე ყველაფერი საკმაოთ გავიგე. ეს სამი ქალი ემყარებოდა ეპისკოპოზის ნომრებზე: წმიდანს, მათის აზრით, ღვთიური ანგარიში უნდა სცოდნოდა.

* *
*

გამოსვლისას მე შევხვდი მასწავლებელს.

— განა შენც ლატარიაში მონაწილეობდი? — მკითხა მან.

— არც კი მიფიქრია.

— ლატარია ეწოდება სულელებზე გაწერილ გადასახადს და ეს მართალიცაა! იცი შენ, თუ რამდენი სხვადასხვა რიცხვის მიღება შეიძლება 90 რიცხვიდან, სამსამათ რომ აიღო ისინი?

მე შეკითხვის სახით შევხედე მას.

— 117.600!

— ხოლო ოთხ-ოთხათ რომ აიღო?

— $2^1/_2$ მილიონი.

— ჩანს, ეს ადამიანები!..

— ან სულელებია, ანდა უმეცარნი. ფულსა და დროს კარგავენ ისეთ რამეზე, რომელიც მათ ღუპავს, კიდევ უფრო აღარიბებს.

## XX.

ეპისკოპოზის გარდაცვალების მეორე დღეს კასას დიდძალი ხალხი მოაწყდა.

სათვალიანი დედაბრის მიერ მიღებულ რიცხვებს ისეთი სახელი ქონდა განთქმული, რომ ამ რიცხვების ნუმრები მეტად იყიდებოდა და მათი კვლავ ყიდვით ახალი ლატარია-თამაში ჩნდებოდა. ბრბო მოჯადოებული გეგონებოდა; დავასა და ეჭვს ადგილი არ ქონდა: მოგებას უზრუნველყოფდა: 37, 62, 50, 25; მაგიდები ტურინი და რომი: პირველში დაიბადა წმიდანი, მეორეში იგი აკურთხეს. ამოყაჭე უკანასკნელი გროში და ჰაიდა!.. ბედნიერათ გრძნობდა თავს ის, ვისაც ხელში ქონდა ქაღალდის ნაფლეთი, რომელზედაც დიდ იმედს ამყარებდა.

---

აქვს ზოგიერთ პროვინციაში (ნეაპოლიტანის ოლქი, კაზერტა, ლეჩე), ზოგიერთში კი ნაკლები (გენუა, ტურინი, მილანი, პალერმო). შესაძლოა საერთო წესათ აღვიაროთ, რომ ლატარიაში მონაწილეთა რიცხვი პირდაპირ პროპორციაში იმყოფება წერა-კითხვის არამცოდნეთა რიცხვთან, ხოლო უკუღმა პროპორციაში—წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვთან.

წერა-კითხვის ყოველი მცოდნე კითხულობდა: 37, 62, 50, 25, სამიანი—100 სკუდი,[1]) ოთხიანი—500. სამიანი უეჭველია, მაგრამ თუ ოთხიც ამოგვივა?! მაშინ ჩვენს ბედს ხომ ძაღლიც ვერ დაუეფს! ოჰ, ჯერ კიდევ გაუცივებელო წმიდა ეპისკოპოზო, რომ იცოდე, თუ რაები ხდება შენი სახელით!

მაგრამ ყოველ ბედნიერებას, თითქმის უუბრწყინვალესსაც, თავისი უარყოფითი მხარეები აქვს. მშიერები მაშინაც ბევრია ხოლმე, როცა ყველაფერი ბლომათაა. იყვნენ ისეთი ღარიბები, რომელთათვისაც ხელმიუწდომელი იყო ლატარიაში მონაწილეობა; ყველა აღფრთოვანებული იყო, ყველას დიდი იმედი ქონდა მისი ჯადო-ძალისა, უეჭველი მოგების იმედით ყველა ცოცხლობდა, სულს ითქვამდა, გარდა ამ ღარიბებისა.

თავისებური იყო ბილეთების გამყიდველი. იგი იცდიდა, სწერდა, მაგრამ ხელწერილს მანამდი არ იძლეოდა, სანამ ფულს არ მისცემდენ. იყო მეორე დაბრკოლებაც: ყველას კი არ გააჩნდა საკმაო თანხა, რომ ორსავე კასაში ჩაწერილიყვენ, ტურინისა და რომის სახელობის კასებში. მაშინ მიმართავდენ იმ საშუალებას, რომელიც ძლიერ კარგათ ცნობილია ღარიბი ხალხისათვის: მირბოდენ შინ, მიქონდათ საუკეთესო ნივთეულობა: ძვირფასი საგულეები, სანიშნო ბეჭდები, სპილენძის ქვაბები; ყველა ამ განძს ლომბარდში[2]) მია-

[1]) 100 სკუდი ნიშნავს 300 ლირას ანუ ფრანკს.

[2]) ლომბარდი ანუ Moute di Pieta (მოწყალების მთა) საკმაოთ ძველი დაწესებულებაა, XVI საუკუნეშია გაჩენილი. პირველათ მას აარსებდენ უკიდურეს პირობებში ჩავარდნილ ადამიანთათვის დახმარების აღმოსაჩენათ, ახლა კი იგი უფრო ხშირათ ხელს უწყობს ლატარიაში ჩაფლვას. ლომბარდი იძლევა სესხს სხვადასხვა ნივთის გირაოს საშუალებით.

ეს არის კრედიტის ერთი ფორმა, რომელსაც მიმართავს და ხშირათ ბოროტათ ხმარობს მუდმივ გაჭივრებაში სულის მლაფავი ღარიბი ხალხი. ვისაც ფული ეჭირვება, თავის ოჯახში ძვირფას ნივთეულობას ეძებს, მოაქვს იგი ლომბარდში და ღებულობს იქიდან რამდენიმე ლირას, რომელიც უმეტესათ ლატარიაში იკარგება. უახლესი და უფრო ზნეობრივი შეხედულება მოითხოვს, რომ კრედიტი ემყარებოდეს წინდახედულობას და მაგრდებოდეს კოოპერაციით. იტალიაში 500 გამსესხებელი კასაა, ლომბარდის მაგვარი. ზოგიერთი მათგანი ახლა ახალ გზას ადგება, და ვუსურვებთ მათ მიმბაძვლებს, რომ ამ ლომბარდებმა განაგრძონ არსებობა უფრო დროისი შესაფერი სესხის გაცემის შემოღებით.

ჩვენს მეგობრებს ვურჩევთ, თავისი კეთილმდგომარეობისთვის წყაროები ლატარიების და გამსესხებელი კასების გარეშე ეძიონ.

თრევდენ; დებულობდენ, რასაც შეაძლევდენ, და საბილეთო კასაში მიეჩქარებოდენ.

საბრალო და უმეცარი ხალხი, რომელიც ჯიბეს იცლის და ოჯახს აოხრებს იმისათვის, რომ ერთი დღით ბედნიერების ილიუზია ექნეს!

მეორე კვირას სალატარიო კასის კედლებზე აკიდული ბიულეტენი აჩვენებს, რომ წმიდა ეპისკოპოზს ლატარიაში მონაწილენი დავიწყებია და... სამიანი არ გამოსულა!..

ღარიბები ვერ ურიგდებიან თავის ხვედრს, მათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ მათი იმედები ისე დაინგრეოდა, როგორც სილაზე აგებული სახლი.

— მაშ, ჩვენი ნუმრები არ ყოფილა მომგები?!

— განა სამიანი უეჭველი არ უნდა ყოფილიყო?!

საქმეს იგვარებდა მხოლოდ ბილეთების გამყიდველი. იჯდა თავის პაწია კანტორაში, დასცინოდა მოტყუებულ ხალხს და გულში აშკარათ ფიქრობდა:

— სულელები!

ეს საწყლები კი,—რომელთაც უკანასკნელი გროშები ამ უძირო უფსკრულში გადაეგდოთ, გაეყიდათ ამისათვის ოჯახის უკეთესი მორთულობანი, უკანასკნელი საოჯახო ნივთები,—მირბოდენ კასისკენ, რომ სამწუხარო ამბავი ერთხელ კიდევ გაეგოთ.

— მაშ, ეპისკოპოზის ნუმრები?!.

— არც ერთი არ გამოსულა!

— არც ერთ კასაში!?

— არც ერთში.

— სად არის ახლა ის წყეული დედაბერი, ყველა მომგებიაო რომ ამბობდა?!

— ახლაც ისევე გასუქებულია, როგორც მაშინ, ისევე წააგავს ბრძენ ორაკულს და ისევე მარჩიელობს!

— შის ვერ დაეგდო, თუ არ იცოდა ეს ხელობა!?

— უნდა ვასწავლოთ მას!

— მართლაც უნდა მივსცეთ იმ ეშმაკის სულს კარგი გაკვეთილი!

ბრბო იზრდებოდა კასის გარშემო, და რაც უფრო მეტი ხალხი ეყრიდა თავს, მით უფრო მაღლა იწევდა რისხვა საბრალო დედაბრის წინაამდეგ, რომელსაც ასეთი მარცხი მოუვიდა ეპისკოპოზის

რიცხვებზე მითითებით. ახლა არ იკითხავთ, თუ რა სისწრაფით ვრცელდება ხალხში ცუდი აზრები? მერე დედაბერს ასე გაბრაზებულ ბრბოში ერთიც არ აღმოჩენია ისეთი, რომელსაც ეფიქრა იმაზე, რომ ყველაზე მეტი შეცდომა ქონდათ ჩადენილი თვით ლატარიაში მონაწილეობის მიმღებთ, სწორედ იმ მონაწილეებს, რომლებიც ყველაზე მეტად იყვნენ გაკიცხვის ღირსნი.

## XXI.

## წმიდანის დღესასწაული.

მწვანეულობისა და ვარდთა მანტიაში გახვეული მაისის თვე იყო. დადგა წმიდანის დღესასწაული; დღესასწაული მშვიდი და გულკეთილი წმიდანისა, რომელიც ბალღებს შემოსეულ მტერთა სასჯელისგან იფარავდა.

მასწავლებელმა გვიბრძანა დილა ადრე შევკრებილიყავით საზოგადო ზეიმში მონაწილეობის მისაღებათ. დანიშნულ დროს ყველა თავმოყრილი ვიყავით; გამოცხადდა ჯულიო, რომელიც ამ დროისთვის უკვე მორჩენილიყო.

მუნიციპალიტეტის სახლს ზევით აფრიალებული იყო სამფეროვანი ბაირაღი. საამოთ გაისმოდა ზარების სადღესასწაულო რეკა. მხატვრულათ მორთულ-აჭრელებულ ბრბოს მთლათ გაეჭედა ქუჩები. ბუკისა და სტვირების ხმა ირეოდა „პარანცების“[1]) მაღალ მარშებში.

ტრადიციული კოსტიუმებით მორთული „ბანდერესები“[2]) სახლიდან სახლში გადადიოდენ, ბოძავდენ შემოწირულებას და აცხადებდენ სამხიარულო ამბავს:

Quante mi piace l'unor di bi mele
Lu blouo giorno lascio a Raffaele.

(ბრწყინვალე რაფაელის დღეობაში
ყველგან ისმის ვაშლთა არომატი).

ხალხის ბრბო აქა-იქ დაიარება და რისლაც მოლოდინში ჩერდება ხოლმე.

---

[1]) Paranzi-ას იტალიის ზოგიერთ პროვინციაში თავისებურ ხალხურ მუსიკას უწოდებენ.

[2]) Banderesi-ს უწოდებენ იმ პირებს, ვისაც დღეობისა და ფულის მობოქვის ხელმძღვანელებათ ირჩევენ.

ფანჯრებიდან გადმოკიდულია ფერად-ფერადი ნათლეთები. მოძრაობა... მოცდა... შემდეგ ისევ მოძრაობა.

სკარპაჩია თავის ყალიონს ეწევა და ერთი ჯგუფიდან მეორეში გადადის.

— ბა! ფრთხილათ იყავით... ჯიბეს მაგრა მოკიდე ხელი, ვისაც იქ ფული გაქვს,—ვისაც კი ჯიბე ცარიელი აქვს, ნურავისი იმედი ნუ აქვს. მე ვუცქერ ჩემს ყალიონს: როცა იგი ცარიელია, შიგ თუთუნს არავინ მიყრის...

სკარპაჩია ამას იძახოდა იმ სიტყვების საპასუხოთ, რომელიც წინდახედულობის კრებაზე მოსაწვევათ გაისმოდა.

ხალხი შეუწყვეტლივ მიდი-მოდიოდა და ამწვანებული შტოებისგან გაკეთებულ გირლიანდებს აშტერდებოდა.

— ექვსი ლირით,—განაგრძობდა სკარპაჩია,—მე ჩინებულ ნადიმს გავმართავ! ჩემი მუცელი—საუკეთესო კასაა! სიტყვა ვასოს ეკუთვნის!

უნდა ვსთქვათ, რომ სკარპაჩია უსაქმოთ მოხეტიალე კაცი იყო. მთელი ქვეყნისა და ყველაზე უფრო კი თავისი ხელობის უკმაყოფილო, იგი ცოტას მუშაობდა და მისი საქმეები სულ უფრო და უფრო ცუდათ მიდიოდა; ამ მიზეზების გამო იგი ფიქრობდა, რომ ქვეყანა ქვესკნელისკენ მიექანებაო. ის ყველგან დაეთრეოდა და ხან თუთუნის დუქანში, ხან კი სამიკიტნოში თავის უკმაყოფილებას იკლავდა ყველაფრის დანძლევა-გინებით. დღევანდელი დღისთვის მას მოუმზადებია სიტყვა, რომელსაც წამდაუწუმ იმეორებდა: „ჩემი მუცელი—საუკეთესო კასაა“.

ხალხი თანდათან მატულობდა და მატულობდა.

ზევიდან ვისიღაც ხმა გაისმა: „ეტლი, ეტლი“!

დამსწრეთა თვალები მოედნისკენ გაეშურენ.

ხალხი გაიფანტა, რომ ხელახლა შეყრილიყო მოედანთან.

ქალები მზისგან თავს ხელის გულით იფარავდენ, რომ დაენახათ ყველაფერი, რაც იქ ხდებოდა.

მუნიციპალიტეტის კარებთან იდგა სინდიკი, რომელიც მის ჟილეტზე გადმოჭიმულ ბრწყინვალე ოქროს მომსხო ძეწკვით ერთობოდა. მხედრულათ მორთული და მუნიციპალიტეტის წინ გაჭიმული ძველი გვარდიის ბრძანებას უცდიდა. ჩვენ ვიდექით და სამაგალი-

თოთ გვეკავა თავი მასწავლებლისა და ბორდონეს ხელმძღვანელობით. ეტლის ხმა თანდათან უფრო მოისმოდა და მისალმების ხმები პარანცის ხმებში ირეოდა. თავებს ზევით აფრიალდა ქუდები და ცხვირსახოცები.

გავიდა რამდენიმე წუთი; ბრბო გაიწია და ორი ვეებერთელა ცხენშებმული ეტლი შემოიჭრა შუაგულ მოედანზე და მუნიციპალიტეტის წინ გაჩერდა. საპატიო ადგილზე იჯდა სახელოვანი მუშა ანტონიო, მსხვერპლი ამას წინათ მომხდარი უბედურებისა. მას ახლდა ფართო შუბლიანი მაღალი კაცი. ეს მაღალი, კაცი პირველათ ჩამოვიდა და ხელი ჩამოართვა სინდიკსა და ჩვენს მასწავლებელს. ანტონიო მხიარულ გუნებაზე იყო, მაგრამ ძლივს ახერხებდა ჩამოსვლას. გადასწყვიტა ჩამოსვლა, მოიმართა გრძელი ჯოხი... ღმერთო, მადლიერო! ყავარჯენი! მისი ხვედრის უენო მოწმე! ყველას ჟრუანტელმა გაგვიარა. ხმაურობა შეწყდა, თითქო ჯადო კვერთხის დახამხამებით ბრბომ დასახიჩრებულს ჩუმათ პატივი სცა. ახლო მდგომებმა შეამაგრეს ანტონიო და მან კოჭლობით წინ წაიწია.

## XXII.

## დახიჩრებული.

დამსწრეთ უეცრივ წარმოუდგა შემდეგი სურათი.

იქ, ნაძვნარის შუაგულში, განუწყვეტელი ჩხრიალ-ხიალი გაისმის სახერხავი ქარხნისა. მანქანების წკრიალ-სიალსა და გამაბრუებელ ხმაურობაში ირევა გრიალ-შიალი გადმოხეთქილი წყლისა.

დღესასწაულია ხმათა და სინათლისა.

წვრილ-წვრილ ფიცრებათ იქცევა ვეებერთელა ხეები. მუშის ხელებში ბუნება დრტვინავს და თავის ვაებას მოსთქვამს.

მაგრამ, აი, საზარელი ღრიალი გაისმის, და გრიგალისებური ხმაურობის ადგილს სამარისებული სიჩუმე იკავებს.

შეჩერდა მანქანები. საბრალო მუშა მექანიზმს მოჰყოლია. მორბიან ყოველი მხრიდან. ყველას უნდა რითმე დახმარების აღმოჩენა. მექანიზმიდან ბედით განწირული ფეხმომსხვრეული მუშა გამოჰყავთ და საავათმყოფოში მიყავთ.

აი სწორეთ ეს მუშა უბრუნდება ახლა თავის სამშობლო სოფელს უბედური შემთხვევის წარუშლელი ნიშნებით.

## XXIII.

## ფაქტების მჭერმეტყველობა.

მუნიციპალიტეტის დარბაზი ხალხით გაიჭედა. ყველას უნდა დარბაზში შეიჭრას; ყველას სურს „სინიორს“ მოუსმინოს.

აი კიდეც დაიწყო სიტყვა „სინიორმა“. ორატორის გარშემო დგანან ანტონიო, ჯულიო და ჩვენი მასწავლებელი. მისი სიტყვა მსმენელებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, თუმცა იგი მეტად უბრალოა და მოძღვრის სიტყვას სრულებით არ წააგავს.

—ხალხი,—ამბობდა „სინიორი“—გაკვეთილებს წიგნებიდან კი არ დებულობს, არამედ მწარე გამოცდილებიდან, ფაქტებიდან, რომელიც განუწყვეტლივ წრთვნის და წინმსვლელობის გზაზე აყენებს მას.

კოლუმბს დასცინოდენ, როცა იგი ახალი ქვეყნის აღმოჩენას წინასწარმეტყველებდა. როცა კი მისი გემი ამ ქვეყანას წააწყდა, მაშინ დიდებულ მეზღვაურს მისი მოწინააღმდეგენიც ტაშს უკრავდენ.

დასცინოდენ აგრეთვე იტალიის გაერთიანებისთვის მებრძოლთაც, მათ ციხეებში ამწყვდევდენ და უტოპისტების სახელით ამკობდენ, მაგრამ დღეს ეს უტოპია სინამდვილეთაა ქცეული და მისით მთელი ქვეყანა ამაყობს.

ბევრი ხანია რაც სოფლათ დავდივარ მე და წინდახედულობისა და კოოპერაციის იდეას ვქადაგებ. მაგრამ ჩემი სიტყვა არ აჩნევს ხალხში ღრმა კვალს და ხშირათ სულ უნაყოფოთ იკარგება. აუცილებელი საჭიროა გამოცდილება, მაგალითები, რომ მიღებულ იქნას პრინციპი და იგი ცხოვრებაში გატარდეს. ყოველმა თქვენგანმა კარგათ იცის ჩვენში ორი დიდი დაწესებულების არსებობა: დასახიჩრებისა და სიბერისაგან მუშათა დამზღვევი ნაციონალური კასა და მუშაობაში უბედური შემთხვევისგან დამზღვევი ნაციონალური კასა.[1]

ერთი უზრუნველჰყოფს პენსიით დასახიჩრებისა და სიბერის დროს, ხოლო მეორე ანაზღაურებს ზარალს, რომელიც მოუვება მუშაობაში

---

[1]) La Cassa Nazional di Previdenza per le pensioni დაარსდა 1898 წლის 17 ივნისის კანონით. ახლა იგი სარგებლობს 1907 წლის 30 მაისში კოროლის ბრძანებით დამტკიცებული წესდებით. მეორე კასა სხვა ამგვარ დაწესებულებებთან ერთად დამტკიცებულ იქნა 1883 წლის 8 ივლისის კანონით.

მომხდარს უბედურ შემთხვევას.[1]) ძლიერ კარგია ეს დაწესებულებები, მაგრამ მაგათი დახმარებით ნაკლებათ სარგებლობენ. არ კმარა, რასაკვირველია, ... თქმა უნდა, ჩემი სიტყვა ამ დაწესებულებათა სარგებლიანობაში დასარწმუნებლათ. საჭიროა ფაკტები, რომ ეს რწმენა შეიჭრას ხალხის შეგნებაში.

ფაკტებზე კი შორს წასვლა არ მოგვიხდება.

აი თქვენ მაგალითი ამ მუყაითი მოწაფისა, რომელიც ეს-ეს არის ხანგრძლივისა და მძიმე ავათმყოფობისგან გამობრუნდა. („სინიორმა“ ხალხს ჩვენი ამხანაგი ჯულიოსკენ მიუთითა). ვის შეეძლო მისთვის ისეთი ხანგრძლივი დახმარების აღმოჩენა, რანაირიც აღმოუჩინა მას საშკოლო საურთიერთო დახმარების საზოგადოებამ?

აი, თქვენ წინა დგას აგრეთვე პატიოსანი მუშა, რომელიც უბედური შემთხვევის მსხვერპლი გამხდარა. მე მომაქვს მისთვის პენსია დასახიჩრებისა, რომელიც განსაზღვრულია წლიური 120 ლირით, და ერთდროული ჯილდო შრომის უნარის დაკარგვის გამო, რომელიც 1200-ჯერ აღემატება მის დღიურ ხელფასს.[2])

აი ცოცხალი მაგალითი იმისა, რასაც ჩვენ ვქადაგებთ და რაც თანაგრძნობას პოულობს უფრო ფაკტთა მჭევრმეტყველობაში, ვიდრე ხალხთა წინდახედულობაში.

---

[1]) პირველი—დასახიჩრების პენსია—ეძლევა, როცა წევრი სამუდამოთ დასახიჩრდება, თუ ეს დასახიჩრება წევრათ ჩაწერიდან 5 წლის შემდეგ მოხდა. სიბერის პენსია ეძლევა 55—60—65 წლიანებს განსაზღვრული დროს, ჩვეულებრივ 25 წლის, გავლის შემდეგ. შესაძლოა ამ ვადის შემცირება 10 წლამდე წლიური გადასახადის გადიდებით.

[2]) დაშავების დროს დაჯილდოების ნორმა განისაზღვრება შრომის უნარის დაკარგვის მიხედვით. დაჯილდოების ხარისხები დაახლოებით შემდეგია:

1) **დაზღვეულის სიკვდილი**; ჯილდო—სრული პრემია, რომელიც უდრის 1800-ჯერ გადიდებულს დღიურ ხელფასს;

2) **შრომის უნარის სრული დაკარგვა**,—ჯილდო ისეთია, რანაირიც სიკვდილის დროს;

3) მთელ სიცოცხლეში შრომის ნაწილობრივი დაკარგვა; ჯილდო 5—80% დაზღვეული პრემიისა, შრომის უნარის დაკარგვის ხარისხის მიხედვით;

4) **შრომის უნარის დროებითი დაკარგვა**; ყოველდღიური სუბსიდია ავათმყოფობის დროს ანუ ნახევარი დღიური ხელფასი შრომის უნარის აღდგენამდი.

თქვენს პატივცემულ მასწავლებელსა და გულმოდგინე ბორდონეს მთავრობის სახელით ვუცხადებ მადლობას წინდახედულობის იდეის გამოყენებისა და გავრცელებისათვის. თქვენ კი, ძვირფასო მეგობრებო, გისურვებთ, რომ დღევანდელი ფაქტები გამოგეყენებიოსთ მომავლის გასათვალისწინებლათ. განსაკუთრებით მოგმართავთ ასეთი სურვილით თქვენ, ყმაწვილებო, ვინაიდან წარმავალი მოდგმის წინაშე თქვენ პირისპირ წარმოადგენთ მომავალს! ნეტარია ის შრომა, რომელიც მიმართულია თქვენდა გასავითარებლათ, ვინაიდან მომავალი საზოგადოება თქვენი საშუალებით უნდა დამყარდეს და განვითარდეს“!

## XXIV.

### სასარგებლო ცნობები.

ამ სიტყვის შემდეგ „სინიორმა“ მასწავლებელსა და ბორდონეს ჩააბარა მადლობის ფურცლები, ხოლო ანტონიოს — მოწმობა მუდმივი პენსიის მისაღებათ. შემდეგ დაარიგა წითელკანიანი წიგნაკები სხვადასხვა სათაურით:

**როგორ უნდა მოემზადო ავათმყოფობით მოყენებული ზარალის ასანაზღაურებლათ?**

**როგორ უნდა მიიღო პენსია?**

**როგორ უნდა დაიზღვევო თავი მუშაობაში მოსალოდნელი უბედური შემთხვევისაგან?**

**როგორ უნდა უზრუნველყო მომავლისთვის თავისი ოჯახი?** [1])

---

[1]) ხელმძღვანელმა უნდა ახსნას დაზღვევის სხვადასხვა ფორმა, რომელიც ქვემოთ მოყვანილია შემოკლებით:

**როგორ უნდა მოემზადო ავათმყოფობით მოყენებული ზარალის აღსადგენათ?**

ავათმყოფობისგან თავდაზღვევა—იტალიაში ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმაა დაზღვევისა—საურთიერთო დახმარების დაწესებულებათა უმთავრეს მიზანს წარმოადგენს. საურთიერთო დაზღვევისა და, კერძოთ, საურთიერთო დახმარების საზოგადოებათა პრინციპი გამოიხატება შემდეგში: **ურთიერთშორის იმ ზარალის განაწილება, რომელიც განსაზღვრული მიზეზების გამო შესაძლოა ყველას მოუვიდეს.**

ცნობილია, რომ ავათმყოფობა დამოკიდებულია წლოვანებაზე, ჰაერზე, პროფესიაზე, საზრდოობის პირობებზე, საცხოვრებელ ბინებზე და სხვა ასეთებზე.

ბროშურები უცბათ დაიტაცეს დამსწრეებმა.

ყველამ გატაცებით დაიწყო მათში მოთავსებული სასარგებლო ცნობების კითხვა.

შემდეგ ხალხი ჯგუფ-ჯგუფათ დაიყო. ყველას უნდოდა თავისი აზრის გამოთქმა: გამოსარჩლება ან წინააღმდეგ წასვლა.

— წლიურ პენსიათ 120 ლირა?! — შენიშნავდა ერთი, რომელიც ფიქრობდა, რომ ეს არ კმარა საცხოვრებლათო, — უკეთესია სულ რომ არ მიიღო არაფერი! — ამბობდა სულელი.

— უკეთესია თუნდაც ცოტასი მიღება, ვიდრე სულ არაფერი მოგივიდეს! — რჩევას იძლეოდა ვიღაც მოხუცი, — მე რომ წელიწადში პენსიათ ასი ლირა მქონდეს, თავს მდიდრათ ჩავთვლიდი. მაგრამ მე ეს ნაკლებათ მჯერა! როგორ შეიძლება, რომ წლიურათ 6 ლირის გადახდით პენსია მიიღო?

— ამაში ეჭვი ნუ გეპარება! — ამის მაგალითს ანტონიო წარმოადგენს!

— მაგრამ ეს ხომ დასახიჩრების პენსიაა, მე კი ვამბობ სიბერის პენსიის შესახებ და ვამტკიცებ, რომ რამდენიმე ლირით პენსიის მიღება შეუძლებელია.

— მაგრამ დახმარებას იძლევა სახელმწიფო!

— კასას აქვს 18 მილიონი და ამატებს, რამდენიც საჭირო იქნება.

— კორონმა ერთი მილიონი შემოსწირა მუშათა დაზღვევისთვის.

— ერთი მილიონიც სახელმწიფომ გამოიღო.

---

ადგილია საშუალო პირის კვირეული გასავლის გამოანგარიშება, როცა იგი ავათმყოფობს. ყველამ რომ შემოინახოს იმდენი ფული, რამდენიც ამ კვირეულ ხარჯს უდრის, ავათმყოფობისთვის უზრუნველყოფილნი მაინც არ იქნებიან, ვინაიდან საშუალო რიცხვი იმას კი არ ნიშნავს, რომ ყველა წლიურათ ერთი კვირის განმავლობაში ავათ უნდა გახდეს, არამედ **მთელი ჯგუფისთვის** მხოლოდ **ავათმყოფობის დღეთა უეჭველ რიცხვს.** აქედან ის გამომდინარეობს, რომ ერთი შესაძლოა მეტ ხანს გახდეს ავათ, მეორე—ნაკლებ ხანს. საურთიერთო დახმარების საზოგადოება ანგარიშს უწევს ამ გარემოებას და ფულს აგროვებს **საერთო ფონდისთვის,** რომლითაც ავათმყოფობის დროს ამხანაგებს უზრუნველყოფს, რამდენ ხანსაც არ უნდა გაგრძელდეს მათი ავათმყოფობა.

საურთიერთო დახმარების საზოგადოებები სხვა მიზნებსაც ისახვენ.

— მაშ, უნდა დავიჯეროთ!

— და ჩავეწეროთ ნაციონალურ დამზღვევ კასაში.

— თან ეს საქმე სამერმისოთ არ უნდა გადავდვათ, — ჩაურთო ფრინველომ, — ასეთ საქმეებში საჭიროა სიჩქარე. ჩვენ კიდეც ჩაწერილი ვართ შკოლის საურთიერთო დახმარების კასაში. და მცირედი გადასახადით სავათმყოფო დახმარებითა და სიბერის პენსიით უზრუნველყოფილი ვხდებით.

— მერე რო ჩავეწეროთ?

— მაშინ გადიდდება გადასახადი და შემცირდება პენსია.

დაშავებულ მუშა ანტონიოსაც უნდოდა თავისი სიტყვის ჩართვა.

— მე სავათმყოფოში ვიწევი მთელი თვე, — სთქვა მან, — მწარე ტანჯვას განვიცდიდი, მაგრამ თქვენთან დაბრუნებული წარსულზე ნაგლებათ ვფიქრობ, რადგან ცხოვრების საშუალებით უზრუნველყოფილი ვარ. ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ მშვენიერ კანონებს, რომელნიც ხშირათ ასეთ დახმარებას გვიწევენ ხოლმე.

— როგორღაც მხოლოდ ერთი რამ არ მომდის თავში, — წამოილაპარაკა ერთმა დამსწრეთაგანმა ყალიონის მოწევით, — ვერ გამიგია, თუ როგორ შეიძლება სიცოცხლის დაზღვევა? ვის შეუძლია იცოდეს, თუ როდის მოვკვდები მე?

ამ შენიშვნამ ყველას დაალებინა პირი, მაგრამ ბორდონემ აქაც იჩინა თავი.

— ჩემო მეგობარნო, — დაიწყო მან, — უფრთხილდით იმის გაკიცხვას, რასაც საკმაოთ არ იცნობთ. რა თქმა უნდა, არავის შეუ-

უკანასკნელი ცნობით იტალიაში ირიცხება 6535 ასეთი საზოგადოება და მათში ითვლება 926,207 წევრი და 72 მილიონი ლირა. ამ საზოგადოებათაგან ოფიციალურათ აღსარებულია მხოლოდ ერთი მეხუთედი, მაგრამ როცა, სხვათა შორის, მოისპობა პოლიტიკური ჟინიანობა და ცრუმორწმუნეობა, ყველა საზოგადოება მიიღებს ოფიციალურათ აღიარებას. (იტალიაში ოფიციალურათ აღსარებულია ის საზოგადოებები, რომელთაც მიღებული აქვთ იურიდიულ პირთა უფლებები 1886 წლის 15 აპრილს № 3818-ით გამოცემული კანონის ძალით).

აუცილებელ პირობას არ წარმოადგენს საზოგადოებაში ბევრი წევრის ჩაწერა, საზოგადოებას თუ კარგი ხელმძღვანელები ეყოლა, თუმცა მათი რიცხვი უმნიშვნელოც რომ იქნეს. უმეტეს ნაწილათ ისინი დაყოფილი არიან პროფესიებათ და კლასებათ, მაგრამ ეს მათ არ აყენებს არავი-

ძლია გითხრან, თუ როდის მოკვდებით თქვენ. მაგრამ გამოკვლევამ აღმოაჩინა **სიკვდილის უეჭველი კანონები**, ვინაიდან მრავალი ფაკტი, ჩვენ რომ შემთხვევითად გვეჩვენება, ნორმალურია. ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ იხოცებიან ყმაწვილებიცა და მოხუცებულებიც; მაგრამ აღმოჩენილია საშუალო რიცხვი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენი იბადება და რამდენი იხოცება ყოველ დღეობით. სტატისტიკა გვეუბნება, რომ ერთ დღეში დაბადებული 100 სულისგან პირველი ათი წლის განმავლობაში იხოცება 45 სული, 5 — მეორე ათეულ წელში, 4 — მესამეში, 60 წლამდი ამ ასი კაცისგან სძლებს 28, ხოლო 70 წლამდი — მხოლოდ 17. ამ უეჭველი ცოდნიდან გამოყავთ კანონები, რომელიც შესაძლოთ ხდის სიცოცხლის დაზღვევას.

ამ სიტყვების ჭეშმარიტება ყველას სულსა და გულში ჩაუწვდა და კიდეც გამოუღვიძა მათ შრომის მოყვარეობისა და ყაირათობისადმი მისწრაფება. მხოლოდ სკარპაჩია არ იშლიდა თავისას:

— ბა! — წამოიძახა მან, — წმიდა თომა, რომელიც მართლაც დიდებული წმიდანი იყო, სანამ ირწმუნებდა... მაგრამ მას სიტყვა ყელში ჩაურჩა.

ფაკტების მჭევრმეტყველებამ ვერ დაარწმუნა ეს უგზო-უკვლო კაცი, მას მხოლოდ ეჭვი გაეღვიძა.

## XXV.

### მ გ ე ლ ი.

ბრბომ დაშლა დაიწყო. შეწყდა „პარანცების“ და დუდუკის მხი-

---

თარ ზიანს, რადგან მთავარი მიზნის განხორციელებაში (დაზღვევა ავათმყოფობისათვის) შეერთებულათ მოქმედობენ.

**როგორ უნდა უზრუნველ ვიქნეთ პენსიით?** ის პირები, რომელთაც არ აქვთ უფლება ნაციონალურ კასაში ჩაწერისა, უნდა ჩაეწერონ ტურინის კოოპერატიულ საპენსიო კასაში. მას ყავს 420,000 წევრი და მის განკარგულებაშია 40 მილიონზე მეტი კაპიტალი. პენსიის მიღების პირობები ყველა დამზღვევი კამპანიისა ერთნაირია დაახლოებით. სახალხო დამზღვევი კამპანია (სიცოცხლის საურთიერთო დაზღვევის ასოციაცია, მილანშია) შემდეგი პირობებით აზღვევებს:

**დაუყოვნებლივი და შეუწყვეტელი რენტა სიკვდილამდი.** 64 წლის კაცი ნაციონალურ კასაში თუ 10,000 ლირას შეიტანს, მას დაუყოვნებლივ ენიშნება ყოველწლიური 1207 ლირიანი პენსია.

არული მელოდიები. პროცესია ნელ-ნელა იზრდებოდა. ცას წვდებოდა წმიდანის სადიდებელი გუნდრუკი და ბრწყინვალეთ წაკითხული დავითნი. ტრადიციული გველებით იდაყვსა და მაჯას შემოვლებული უმაწვილები და მოხუცნი წინ მიუძღოდენ წმიდანის გამოქანდაკებულ სახეს, რომელიც წამღებთა მხრებზე იქანებოდა. პროცესიამ სოფლის იმ ადგილამდი მიაწია, სადაც ქუჩა მოედნათ იქცეოდა. აქ კი დატრიალდა მეტათ დამახასიათებელი სცენა. შუაგულ მოედანზე აღმართული იყო ესტრადა; უკანასკნელი ხის ტოტებითა და შტოებით მორთული იყო და ტყეს გამოხატავდა. მაყურებლებიდან მარცხნით, შტოებს შუა, გაეჭიმათ ფართო ზეწარი, რომლის იქითა მხარეს დადგმული იყო წმიდანის სახე. ბრბო სანახაობას სულგანაბული უცდიდა. ორი ახლათ ჯვარდაწერილი ცოლ-ქმარი წინ გამოიწია. ქალს ბზის ტოტებისგან გაკეთებული აკვნით მოყავდა ჩვილი ბავში, და ეს ნაყოფი მათი სიყვარულისა ესტრადაზე დასვა. დაიწყო იდილია. ქმარმა დაამტვრია და მოაგროვა შტოები სახურავისათვის. გაისმა სადიდებელი გალობა:

Santa é la case  
dove alberga amor:  
se scoppia il nembo  
Dio la difende oguor.

(წმიდაა ის სახლი, სადაც მეფობს სიყვარული: უსაშინელესი განსაცდელის ჟამს მას თვით ღმერთი იცავს).

მუშაობა გრძელდებოდა. ბალღმა აკვანში დაიყვირა. ცოლ-ქმარი

---

**ასეთივე რენტის მიღება წლიური გადასახადებით.** 25 წლის კაცს, რომელსაც კასაში ყოველდღე თითო ლირა შეაქვს, 244 ლირიანი პენსია ენიშნება, როცა მას შეუსრულდება 65 წელი. მაგრამ ყველას როდი აქვს საშუალება არამც თუ ათასობით ფულის მოგროვებისა, არამედ 40 წლის განმავლობაში ყოველთვიურათ თითო ლირის შეტანისა. გამოცდილება ამტკიცებს, რომ ბევრ მუშას არ შეუძლია საკუთარი საშუალებით შორეული სიბერისთვის პენსიით უზრუნველყოფა. ეს გათვალისწინებული ქონდა ნაციონალური კასის დამაარსებლებსაც. ნაციონალური კასა თავის მხრივ ადებს შემოტანილ თანხას საკუთარი საშუალებიდან და ამნაირათ შესაძლო ხდება მცირე გადასახადის შემომტანი მუშის პენსიით უზრუნველყოფა. ფაქტიურათ თითოეული მუშის წლიური გადასახადი 6 ლირას არ აღმატებია, ნაციონალურ კასას კი ჯერ ამ გადასახადზე ათ ლირაზე ნაკლების დამატება არ შემთხვევია.

სადაც წავიდენ. ტყის ბურვილიდან ანთებულის თვალებით გამოხტა მგელი. მას სისხლი სწყურია და ბავშს ჩუმათ ეპარება. აი ის უკვე აკვანთანაა; თავისი საშინელი კბილები ბავშს ჩაჭკრა და იგი ტყისკენ გააქანა. ცოლ-ქმარი მალე დაბრუნდა. საშინელმა სანახაობამ, ცარიელმა აკვანმა, მათ თავზარი დასცა, მუხლმოდრეკით შეევედრენ წმიდანს, რომ მათი ბავში განსაცდელისაგან დაეცვა. წმიდანის სახიდან ფარდა ძირს ჩამოემვა; იგი გაბრწყინდა და გულდაწყვეტილ ცოლ-ქმარს იმედი გაუღვიძა. რა დაინახა მგელმა ეს საოცარი სანახაობა, შეკრთა, შეშინდა, ბავშს თავი მიანება და იქვე მყისვე დაეცა, ვითარცა მსხვერპლი საშინელი ტანჯვა-ვაებისა. მამა ბავშისკენ გაექანა, სასწაულით გადარჩენილი შვილი დედას ჩააბარა, ხოლო თვით მან ხელი ნაჯახსა სტაცა. მგლისკენ გაიქცა და ერთი მოქნევით მხეცს სული გააგდებია. ბრბო ტაშს უკრავს წმიდანი უკან წამოიყვანეს და ხალხი გაერთო ამ დღეს ნანახ-გაგონილის შესახებ ლაპარაკში. ვინ მგელზე ლაპარაკობდა, ვინ წმიდანის შესახებ, ვინ ანტონიოს ამბავს, რომელიც პენსიათ მიღებული 2000 ლირით შინ დაბრუნდა. სკარპაჩია ხმა-გაკმინდული თავის ყალიონსა სწევდა: დალეული ღვინოს მისთვის სიტყვის უნარი სავსებით წაურთმევია. ბორდონე ამ დღის ორი პერსპექტივის შესახებ ფიქრობდა: ერთ შემთხვევაში მიმართავდენ წმიდანის დახმარებას, მეორეში—თვითდახმარებას, ძალთა და ენერგიის ეკონომიას. ყოველ კაცში,—ამბობდა ბორდონე,—ინახება ოქროს წყარო. ბედნიერია ის, ვინც იქიდან ოქროს ამოღებას მოახერხებსო.

---

შედეგი ასეთი მონაწილეობისა აშკარაა შემდეგი მაგალითებიდან:

მაგალითი 1. ის, ვინც, 20 წლიდან დაწყებული, ყოველდღიურათ თითო ლირას იხდის, პენსიათ სამოცი წლის შესრულების შემდეგ წლიურად 201,38 ლირას იღებს.

მაგალითი 2. ოცდამეათე წლიდან ასეთი გადასახადის შემტანი პენსიათ იღებს 206 ლირას, როცა მას შეუსრულდება 65 წელიწადი.

მაგალითი 3. მეორმოცე წლიდან დამწყებს 65 წლიდან ენიშნება 100 ლირა.

ნაციონალური კასა გაირჩევა კიდევ ორი სხვა დამახასიათებელი თვისებით. დაწესებულია 2 რეესტრი: 1) მუტუალისტიური რეესტრი და 2) შენახულ გადასახადთა რეესტრი. პირველი რეესტრით, თუ წევრი ვადამდი გარდაიცვლება (premorienza), გათავისუფლებული თანხები

## XXVI.

### ჭორიკანობა.

შემდეგ დღეებში ბევრი მითქმა-მოთქმა გაიმართა. გზას იკაფავდა თანამშრომლობის იდეა. დარწმუნდა ხალხი, რომ მუშათა დაზღვევა ზღაპარი როდია და საშკოლო თვითდახმარებასაც დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია. ანტონიო სადღეისო გმირს წარმოადგენდა. მას უკვე დაუწყია ლაპარაკი მიწის ნაჭერის შეძენის შესახებ, რომ ზედ საკუთარი სახლი აეგო და შიგ ოჯახობით მორთულიყო. ჯულიო თავს იწონებდა იმით, რომ პირველი საშკოლო სუბსიდია მან მიიღო. ძველი მასწავლებელი გაწეული პატივისცემით ამაყობდა.

ცხოვრებას მისთვის ისე ცოტა მიეცა, რომ მოულოდნელი მედალი მას მთელ განძათ ეჩვენებოდა.

ბორდონეს უხაროდა, რომ მის იდეას საძირკველი ეყრებოდა და გზა ეკაფებოდა. მაგრამ გაუგებარი ეჭვი თანდათან ვრცელდებოდა და სულ უფრო და უფრო მეტ სახეს ღებულობდა. ვინ იყო ბორდონე? საიდან გაჩნდა იგი? როგორია მისი წარსული?

არავინ არაფერი იცოდა: ბორდონეს წარსული წყვდიადით იყო მოცული. ამიტომ ყოველ ეჭვს გასავალი ქონდა.

— იგი ჩინებული კაცია! — ამტკიცებდა ერთი.

— ეხ, — ამბობდენ სხვები, — ჩინებული კაცები ციდან კი არ ვარდებიან...

სკარპაჩია ტენდენციურათ შენიშნავდა ხოლმე:

---

ნაწილდება წევრთა შორის, მეორით კი — უბრუნდება წევრის ოჯახს ან მის მემკვიდრეს.

მესამე რეესტრი — სახალხო დაზღვევისა — დანიშნულია იმ პირთათვის, ვისაც რენტა ანუ განსაზღვრული ჯამაგირი ეძლევა და არ შეუძლია არც პირველსა და არც მეორე რეესტრში ჩაეწეროს.

პენსია ორნაირია: **პირადი**, რომელიც ეძლევა შრომის უნარის დამკარგველ წევრებს, წევრობიდან ხუთი წლის შემდეგ, და **სიბერის პენსია**, რომელსაც ქალები ღებულობენ, როცა მათ 50—55 წელიწადი შეუსრულდებათ, ხოლო მამაკაცები — როცა მათ 60—65 წელი შეუსრულდებათ. გადასახადების მოგროვების ნორმალური პერიოდია 25 წელიწადი. მაგრამ შესაძლოა მისი შემოკლება ათ წლამდი. პენსიის მისაღებათ საჭირო წლიური მინიმალური გადასახადი განსაზღვრულია 6 ლირით.

— წმიდანი, როგორიც ბორდონე არის, ავაზაკია. მე ჩემს ჩიბუხს ვაკვირდები და როცა იგი ცარიელია, მას არავინ მივსებს. ბა!..

ყველა ამის დასკვნა ის იყო, რომ ბორდონე არც ისე კარგი ადამიანია, როგორათაც გვეჩვენებათ. ბოროტი ჭორიკანობა კი იზრდებოდა თანდათან და სახელის გატეხას უქადიდა იმ ადამიანს, რომელსაც ამდენ ხანს სიკეთის მეტი არა გაუკეთებია რა. ერთხელ დილით ჩვენ თავი მოვიყარეთ მკოლის კარებთან და მის გაღებას ვუცდიდით. ვლაპარაკობდით მკლის შესახებ, წმიდანზე. ბორდონემ თავჩაღუნული გაგვიარა. ახლა ის სულ სხვა კაცს წარმოადგენდა. მას აღელვება ეტყობოდა, აშკარა იყო, რომ ჭორებს მის ყურამდი მიეწია. კასტიგომ თავი ასწია, ამ ცუდი ბავშის სახე აშკარათ გამოხატავდა ჩვენს ეჭვიანობას.

— სიმართლე გინდათ გაიგოთ? — დაცინვით შეგვეკითხა კასტიგო.

ცნობისმოყვარეობამ გვძლია და მას ყველანი გარს შემოვეხვიეთ.

— მაშ, იცით, ვინ არის... ბორდონე?!

— გვითხარით!?

— როგორც ამბობენ... ბორდონე... ქურდია!

ძვალ-რბილში ჟრუანტელმა გაგვიარა. გავშეშდით. კასტიგოს მომღიმარე სახე ჩვენს შორის თვალსაჩინო კონტრასტს წარმოადგენდა.

— ბორდონე... ქურდია?.. სიცრუეა! ეს შეუძლებელია! - წამოვიძახეთ ჩვენ.

— დიახ, დიახ ქურდია!

— ცილის წამებაა!

---

თუ შემოკლებულ იქნა გადასახადების პერიოდი, სავალდებულო გადასახადი დიდდება თითო ლირით ყოველ შემოკლებულ წელზე. მაგალითები: 41 წლისამ თუ მოისურვა პენსიის მიღება, როცა მას 65 წელიწადი შეუსრულდება, უნდა ყოველწლიურათ 7 ლირა იხადოს; 42 წლისამ—8 ლირა, 45-სამ—11 და სხვ.

**როგორ უნდა დაიზღვევო თავი მუშაობაში მოსალოდნელი უბედური შემთხვევისგან?** 1883 წლის 8 ივნისის კანონით დაარსებული ნაციონარული კასა ითვალისწინებს ასეთ შემთხვევასაც. კასას აქვს დიდი ფონდი (დაარსებიდან იგი მოქმედობს 1904 წლის 31 იანვარს № 51-ით გამოცემული კანონისა და ამავე წლის 31 მარტს № 141 გამოცემული რეგლამენტის ძალით).

დაზღვევა **სავალდებულოა**, რამდენი მუშაც უნდა იყოს მოწველო-

— ამას ყველა ამბობს!

— მატყუარა!

— ცილის მწამებელი!

— შეურაცხყოფაა იმისა, ვინაც ჩვენი საზოგადოება დააარსა!

— ბოროტო, შენა!

დიდი აღშფოთება გამოიწვია ჩვენში დიდათ სასიყვარულო ადამიანის შეურაცხყოფამ. ჩარჩ-ვაჭრუკანებს ეს ამბავი მეტად იამათ და მათაც ათასნაირი ბოროტი გამოძახილით კასტიგოს კვერი დაუკრეს. ფერინგველომ ეს ვერ მოითმინა და წამოდგა, რომ ცილისწამებისათვის სამაგიერო გადაეხადა.

— ცრუპენტელა! აი შენ! და ამ სიტყვასთან ერთად კასტიგოს მაგარი სილა უთავაზა.

## XXVII.

### გამომშვიდობება.

გამოჩნდა მასწავლებელი.

დაგვაწყნარა და ყველა კლასში გაგვგზავნა. ის ძლიერ აღელვებული იყო.

კლასში რო შემოვედით, ჩვენ რაღაც სასოწარკვეთილებაში ჩავვარდით. ნუ თუ ეს კლასია, და არა სამსაჯულო დარბაზი?!

კათედრის მახლობლად იდგა ბორდონე, რომელსაც თავი ისე ჩაედუნა, რომ ის თითქო ვერ უძლებს დაწოლილ სიმძიმესო.

მასწავლებელს მკრთალი ფერი დასდებოდა და იგი ხან აქით და ხან იქით გაოცებით იცქირებოდა.

---

ბაში, ბევრ შემთხვევაში, რომელიც ჩამოთვლილია კანონში: მაგ., როცა შემოღებულია მამოძრავებელი მანქანა. სხვა შემთხვევებში იგი სავალდებულოა მაშინ, როცა მომუშავეთა რიცხვი ხუთზე მეტია. ყველა სხვა შემთხვევაში დაზღვევა **სავალდებულო არაა.** დაზღვევის ხარჯებს კისრულობს მრეწველი ანუ მოიჯარადრე. ინდუსტრიაში მომუშავე ყოველი მრეწველი და მოიჯარადრე ვალდებულია შეიძინოს დაზღვევის წიგნაკი და იხადოს გადასახადი ყოველი მუშის თავზე. წიგნაკი შეიცავს უმთავრეს წესებს მუშაობაში მოსალოდნელი უბედური შემთხვევისგან დაზღვევის შესახებ. მას ინახავს მუშა და საჭირო შემთხვევებში ურდგენს მთავრობის მოხელეს მუშაობის დაწყებამდი.

**როგორ უნდა უზრუნველყო შენი ოჯახის მომავალი?** დაზღვევის ფორმები მრავალნაირია. ზემონახსენებ ფორმებს გარდა არსებობს

ჩვენ ვიდექით და რაღაცას ხმაგაკმენდილი მოველოდით.

ჩვენ წინ თავდახრილი ბორდონე ბრალდებულს წააგავდა.

— მაშ, მართალს ამბობდა კასტიგოს ავი ენა?

— ჩემო მეგობრებო,—აკანკალებულის ხმით დაიწყო მასწავლებელმა,—ბორდონე გვტოვებს ჩვენ. მას აიძულებს [illegible]ჯახური და სხვა გარემოებანი. იგი მადლობას გიცხადებს თქვენ მეგობრული დამოკიდებულებისათვის, გეთხოვებათ და სურს თქვენი გადაკოცნა.

ბორდონემ აიმაღლა ჯერ კიდევ სიამაყეს მოუკლებელი თავი.

— არა!—სთქვა მან დიდის ჭმუნვარებით,—არა! მე არ შემიძლია თქვენი გადაკოცნა, მე არცა ვარ ამისი ღირსი. მე თქვენ მხოლოდ ერთი რამ უნდა გთხოვოთ: მომიტევეთ, რომ თქვენ ჩემზე იმაზე მეტი წარმოდგენა შეგადგენიეთ, რანაირის ღირსიც ვიყავი ნამდვილად...

გაუბედავის ნაბიჯებით გაემართა კარებისაკენ აქნამდი ამდენათ ამაყი, ხოლო ახლა გულზე თავდახრილი ადამიანი.

— მაპატიეთ!—გაიმეორა მან.

მასწავლებელი ამაგრებდა მას და ანუგეშებდა.

— საზოგადოება,—სთქვა მან,—მკაცრია... შენ შესძლებ თავის მართლებას... დრო ყველაფერს აღმოფხვრის.

ჩვენ გავქვავდით.

ჩვენ მიერ აგებული შენობა დაიმსხვრა ამ შემთხვევით. რას გავხდებით ჩვენ უბორდონეთ. საშინელებამ შეიპყრო ჩვენი არსება.

მხოლოდ კასტიგოს ტუჩებს ბოროტი დაცინვა ემჩნეოდა. კარები გაიღო, შემდეგ შემოიხურა, მაგრამ მძიმე ნაბიჯების ხმა კიდევ დიდხანს გვესმოდა.

---

კიდევ: დაზღვევა ცეცხლისგან, სეტყვისგან, საქონლის ავათმყოფობისგან, გემების დაღუპვისგან, მეხისგან, იძულებითი უმუშევრობისგან, ორთქლის ქვაბებისა და, ბოლოს, სიცოცხლის დაზღვევა, რომელიც ამ ბოლო ხანებში ძლიერ ვრცელდება და რომელსაც დიდი სოციალური მნიშვნელობა აქვს: ყველამ უნდა იცოდეს იგი.

დაზღვევის საფუძველს წარმოადგენს **მოსალოდნელი შემთხვევის უეჭველობის ხარისხი**. ამ ხარისხებს ამყარებს სტატისტიკა და შემდეგ ეს ცნობები შეაქვთ სიკვდილისა, ეპიდემიისა და სხვათა ტაბულებში. ამ ტაბულებიდანა ჩანს, მაგ., რომ სიკვდილის შემთხვევები ხშირია ბავშვებს შორის ხუთ წლამდი, შემდეგ მოხუცთა შორის 65 ლიდან. ნაკლებია სიკვდილის შემთხვევები 10 წლიდან დაწყებული 55 წლამდი. დასაზღვევი გადასახადების რაოდენობასაც ამაზე აშენებენ.

# XXVIII.

## მაშ, ვინ იყო ბორდონე.

რა საიდუმლოება იფარებოდა ამ მშვიდსა და შრომის მოყვარე არსებაში?

ვერ წარმოიმედგინა, რომ ჩვეულებრივი ბოროტმოქმედის დაფარვა შესძლებოდა გარეგნულ გულკეთილობას; მოვისურვე ამიტომ ჭეშმარიტების გაგება, და აი რა გავიგე.

ბორდონე არ იყო ცუდი ანუ ბოროტი კაცი; არასოდეს არ ყოფილა იგი ღარიბი, როგორც ჩვენ გვეგონა. ის იყო მხოლოდ ერთი მსხვერპლთაგანი საპატიო მდგომარეობისა. ბევრსა ჰგონია, რომ გულკეთილობისა და ძლიერების საიდუმლოებას სიმდიდრე წარმოადგენს, და მხოლოდ სიღარიბე წარმოადგენს გაჭირვებისა და ბოროტების წყაროსა. ეს შეცდომაა: არის გულკეთილობა, მხოლოდ გაჭირვებისაგან წარმოშობილი, და არის ბიწიერება, რომელსაც ღარიბები მხოლოდ სახელით იცნობენ.

ბორდონე იყო მსხვერპლი სწორეთ ამ უკანასკნელისა. იგი არ იცნობდა გაჭირვებას, ცუდი მიმართულების წრეში ტრიალობდა და თავისივე შეუგნებლობისა და სხვისი ცბიერობის მსხვერპლი შეიქნა.

იყო თუ არა იგი დამნაშავე?

საზოგადოება ამტკიცებდა — დიახ, დამნაშავეაო! სხვები მას სიყმაწვილის შეცდომის მსხვერპლათ სთვლიდენ.

იგი იყო სახელგანთქმული ფინანსისტის შვილი, აიზარდა დიდ მზრუნველობასა და ფუფუნებაში, მიიღო კარგი ზრდილობა და ყოველთვის წარმოადგენდა დაუმსახურებელისა და გადაჭარბებული ქებისა და მოფერების საგანს. საბრალო მის დედას ერთი ნაკლი ქონდა: თავის შვილს იგი სთვლიდა საუკეთესო არსებათ დედამიწის ზურგზე. და რადგან ფაქტები მის აზრს ხშირად ეწინააღმდეგებოდა, ამიტომ იგი კიდევ უფრო ადიდებდა თავისი შვილის ნაკლულევანებებს ბავშის გამრყვნელ ქებათა შესხმითა, ნაირ-ნაირი საჩუქრებითა და სიცრუით, რომელიც მიმართული იყო მის ცოდვათა დასაფარავათ.

შვილმა ისარგებლა ამით. იზრდებოდა ბანქოს ვალები, რადგან მისთვის მიღებული ფულები სხვა რამეებისთვის იხარჯებოდა. სიყმაწვილის ცოდვებს დედის ჯიბე ასაზრდოებდა. ასეთი წამქეზველობით

სარგებლობდა შეილი კაფეებში, თეატრებში და სხვაგან. დედის სიყვარული სულ უფრო და უფრო საგრძნობ მფლანგველობას ფარავდა.

## XXIX.

## ბ ა ნ ც დ ა.

მაგრამ ყოველი ბანქო როდი მოგაგებიებს ხოლმე; ბანქოს მოთამაშემ თავისი მოვალეობანი რომ აასრულოს, უნდა ქონდეს მას მაგარი ხასიათი, ანუ უნდა იმყოფებოდეს იგი მაგარი ადამიანის ხელმძღვანელობაში. ბორდონმ შრომასა და სწავლას უზრუნველი და მხიარული ცხოვრება არჩია; დედის მფარველობა დიდათ უწყობდა ხელს ამ მავნე მიდრეკილების განვითარებას.

ბორდონე წარიტაცა მარულამ, რომელიც თავს უყრის ყველა ავარა ხალხსა, ბედოვლათებსა და მატყუარებს, რომელნიც გამოუცდელ პირებს უკანასკნელ გროშებს აცლიან ხოლმე. ბორდონე სარგებლობდა ამ ხალხთა განსაკუთრებულის ყურადღებით: იგი იყო ახალგაზდა, ფიცხი, გულუხვი და თან შვილი გამოჩენილი მოხელისა. მისი ჯიბე ყოველთვის სავსე იყო ფულით.

* *
*

მაისის დღე იდგა. მზე უხვათ ისროდა მხურვალე სხივებს. ათასობით თავმოყრილი ხალხი ცოცხალ კარნიზსა ქმნიდა ვეებერთელა ასპარეზის გარშემო. ფრიალობდენ ქარით შენძრეული დროშები. კარებთან მრავალ ეტლს თავი მოეყარა. გაისმის მეეტლეთა შემოძახილი. აფრთხილებენ, რომ განსაცდელში არავინ ჩავარდესო. აქა-იქ, მინდვრის ყვავილებსავით, თვალს იტაცებს მხიარული ფერადები თავთა ბნელ ფონს ზევით გაშლილი ქალთა ქოლგებისა.

ნამდვილი ქაოსია ადამიანთა და ფერადებისა. სულგანაბული ცდა თითქო რაღაც დიდი მოვლენისა.

წმინდა ინგლისური სისხლის **ბრენდი** უნდა შეეჯიბროს იტალიის შთამომავლობის **სწრაფს**. პატრიოტული სიამაყე ინტერესებს კიდევ უფრო ადიდებდა. რასაკვირველია, ამდენათ თავმოყრილი ხალხი თავის ნაციონალურ სიამაყეს ცხენის სისწრაფესა და დაუღალაობაზე ამყარებს... ასეთია ქვეყანა...

ბრენდი მარულაში უძლეველათ ითვლებოდა, მაგრამ ბევრი იმას ამტკიცებდა, რომ სწრაფი გაიმარჯვებსო.

ბრაზმა წარიტაცა ყველა. თავის მხრივ ბორდონესაც ეკავა ნაძლევი სწრაფის სახელობაზე. როცა გაისმა ხმა, რომ მარულა დაიწყო, ყველამ მიაპყრო თვალი ერთი მხრისაკენ და ხალხი სამარისებურმა სიჩუმემ მოიცვა.

ორი მეტოქე წინ მიექანებოდა. სწრაფი გააფთრდა, სილას ცამდი აყენებდა. ბრენდი მას ზომიერი თოხარიკით მისდევდა და თავის ძალას ინახავდა.

პირველათ ორხელ შემოვლებაში სწრაფი ასწრებდა თავის მეტოქეს. მაგრამ მესამეჯერ შემოვლებაში ბრენდის ლაგამი ძალზე გაიშვა. განცდილ მარულას ახალი ძალები შემოემატა. მეტოქეთა შორის მანძილი თანდათან კლებულობდა. სწრაფს მოუსწრეს, შემდეგ გადაასწრეს, პირველათ თავის, ხოლო მერე მთელი ტანის სიგრძეზე.

ტოტალიზატორმა პირი იბრუნა: ახლა ნაძლევდებიან ბრენდის სახელობაზე. ბორდონემ ქისა ამოიცალა სწრაფის სახელობაზე. აშკარა იყო, რომ სწრაფი აგებდა. ახლა მას რა უნდა ექნა?

— ნაძლევი ჯერ კიდევ არაა წაგებული, —ყურში ჩაუჩურჩულა ერთმა მატყუარათაგანმა,—სწრაფი გამარჯვებული დაბრუნდება! .

— თქვენ გინდათ ამაში დამენაძლეოთ?

— უეჭველათ! ვნაძლეობ სწრაფის სახელობაზე!

— 10,000 ბრენდის სახელობაზე!

— თანახმა ვარ; 10,000, გეფიცებით პატიოსნებას!

ახ! შეგვარცხვინა ბრენდიმ! სწრაფს აჯობებენ! დიახ, აშკარა იყო, რომ გამარჯვებული გამოდიოდა ბრენდი. მარულა თავდებოდა, და მეტოქენი ერთი კი არა, ორი, სამი თავის მანძილით მოშორებული იყვნენ ერთმანეთს.

მაგრამ სწრაფმაც იცოდა, რომ ბრძოლა თავდებოდა, იცქვიტა ყურები, მოიმართა ყელი და ახალის ძალით წინ გასწია. ნახევრათ მოგებული, მანძილი გაჰქრა. სწრაფი ასწრებს... მიზანი მიწეულია!

ყველა ფეხზე წამოდგა, როგორც ერთი კაცი. ასპარეზი შეიძრა გაცხარებულის ტაშით.

ნაციონალური სიამაყე დაკმაყოფილებულია! სწრაფმა გაიმარჯვა.

მაგრამ ბორდონემ ნაძლევი წააგო! და იმ დროს, როცა სწრაფი ასპარეზზე გამარჯვებულის ნაბიჯით დადიოდა და ხალხში აღფრთო-

ვანებასა და ტაში იწვევდა, ბორდონეს თავზარს სცემდა ფიქრი თავისი კრიტიკული მდგომარეობის: ან გადახდა, ან სახელის გაფუჭება...

## XXX.

### მორალი მოთხრობისა.

ერთი დღის შემდეგ ხალხის ხმა ამტკიცებდა, რომ ქვეყანას მოემატა ერთი ქურდი და ერთიც გაქურდული. გაქურდული იყო მამა, გაქურდა... ოხ, საშინელებავ... შვილმა...

პატივცემული მოხელეს მიერ მრავალი წლის შრომით შემონახული ფული შვილმა მოიპარა, რომ თავისი სიტყვა აესრულებია. ეს შვილი იძულებული შეიქნა გაქცეულიყო, რომ აეცდინა გასამართლება და ზიზღისათვის თვალი აერიდებია. ის დახეტიალობდა სხვადასხვა ქვეყნათ, მაგრამ ვერსად პოულობდა სიმშვიდეს. ახალგაზრდობის შეცდომები მას არსად არ აყენებდა. გაზეთებში გამოქვეყნდა სახელი ამ უბედური შვილისა, რომელმაც თავისივე მშობლები გაქურდა. მეტათ მძიმე იყო მსჯავრი. ბორდონე დიდხანს იტანჯებოდა ამ სასჯელით. იტალიის მიყრუებულ სოფელში მან თავისი ბავშობის ამხანაგი ჰპოვა, ერთად ერთი კაცი, რომელიც მას ლმობიერათ მოეპყრა: ეს იყო ჩვენი მასწავლებელი. და, აი, ბორდონე გახდა დარაჯი, მას ტანჯავდა სინიდისი და მხოლოდ ერთი სურვილი ქონდა: დაევიწყებია წარსული! ჩვენს შორის მან განიზრახა სანეტარო იდეაზე დამყარებულ პროექტის განხორციელება.

მაგრამ მკაცრი და დაუნდობელია ხალხის შურისძიება. უაპელაციოთ ეს შურისძიება და დამნაშავეს სასტიკ ბრალდებას პირდაპირ ცხვირპირში ახლის ხოლმე.

ბორდონეს ისტორია გვასწავლის შრომისმოყვარეობას და კეთილგონიერებას. პირველ შეცდომათა შედეგები ადამიანს მთელ სიცოცხლეს უშხამავს ხოლმე.

მეორე ნაწილი მალე გამოვა.

33
ჰ 261

## ჟურნალ „კოოპერაციის“ გამოცემანი:


1. დასურათებული დიდი პლაკატი: „კოოპერაციის განვითარება“ 50 კაპ.
2. ერთობის ძალა, მოთხრობა . . . . . 05 »
3. სოფლის მასწავლებელი, პიესა კლეპიკოვისა, სოფლათ კოოპერაციის განვითარებიდან, დამატებით: „თეატრი და კოოპერაცია“ . . . . . . . 35 »
4. კოოპერაციის სისტემა, გიბნერისა . . . . 20 »
5. კოოპერატიზმი, გიგა ჯუღელისა . . . . 10 »
6. ქალი და კოოპერაცია, გ. დავიდისა . . . . 15 »
7. კოოპერატორის სახელმძღვანელო, პირველი გამოცემა გათავდა, იბეჭდება მეორე.
8. ევროპის კოოპერატივებში, ლენსკისა, იბეჭდება.
9. ახალი საკოოპერაციო კანონი . . . . 50 »
10. Новый кооперативный законъ . . . . 50 »
11. Постановленіе Вр. Прав. о регистраціи товариществъ, обществъ и ихъ союзовъ . . . . 30 „
12. საუბარი კოოპერაციის შესახებ, შ. ჟიდისა . . . 15 „
13. სამეფო მომხმარებელისა, მისივე . . . . 50 „
14. პოლიტიკურ ეკონომიის საფუძვლები, მისივე, იბეჭდება.
15. პლაკატები: 1) კიევის ყრილობის დადგენილება კავშირების შესახებ, 2) კავკასიის კოოპერატორთა ყრილობის დადგენილება კოოპერაციის მნიშვნელობის შესახებ, 3) საერთაშორისო კონგრესის დადგენილებანი და სხ. . თითო 15 „
16. ოქროს წყარო, ნაწილი I: წინდახედულობა . . . 2 მან.
17. იგივე, ნაწილი II: „კოოპერაცია“, იბეჭდება.
18. მომხმარებელი საზოგადოების წესდება . . . 15 კაპ.
19. კავშირისა, სამეურნეო, საწარმოო და სამიწადმოქმედო კოოპერატივების წესდებები.
20. ყოველგვარი საანგარიშო დავთარი და წიგნაკები.
21. სმაილსი: „თვითგანვითარება“, მზადდება.
22. » „მომჭირნეობა“ »

**მისამართი: ქუთაისი. „კოოპერაციის“ რედაქცია.**

ჟურნალ „კოოპერაციის“ რედაქცია და კანტორა მოთავსებულია თფილისის ქუჩაზე, ვლ. წერეთლის სახლში.